# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 ოქტომბერი 2005 №233 (2556) ფასი 50 თეთრი




**ბიჭები ბაიერნიდან**

შოკოლადზე გაზრდილი მეომარი

8



**ბატუტით ოქრომდე ატყორცნილი**

ლიუბოვ გოლოვნია იხსენებს

13



**ვესლი მუდის სენსაცია**

ტოკიო ვილაცამ მოიგო

15

# ბერძნებს ქართველები არ ედარდებათ




დავით თამარაშვილი
ათენიდან


ცივად დაუხვდა ათენი საქართველოს ნაკრებს — ტემპერატურა საკმაოდ დაბალია, ინტერესი კი... ნული.

რატომ? მერე რა, რომ ქართველები ჩამოვიდნენ, მთავარი საფიქრალი ის გვაქვს, ჩვენი კონკურენტები რას იზამენო — ამბობენ ბერძნები.

ეროვნული გუნდი სასტუმრო „ინტერკონტინენტალში" დაბინავდა, ახალგაზრდული კი „მეტროპოლიტში". გაიოზ დარსაძის ნაკრებს მოსკოვის ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი რომ არ ეყოლებოდა, თბილისშივე გაირკვა — მალხაზმა ყაზახეთთან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია.

ნაკრებს არც მიხეილ აშვეთია გამოჰყოლია და არც მეკარე გიორგი ლომაია — აშვეთია წელის ტკივილმა შეაწუხა და თბილისიდანვე გაფრინდა მოსკოვს, ლომაიას კი ოჯახური პრობლემები შეექმნა — მისი მშობლები ავტოავარიაში მოჰყვნენ...



საქართველოს ნაკრები სასტუმროში, ფაქტობრივად, არც გაჩერებულა, გაიოზ დარსაძემ ბიჭები პირდაპირ „გეორგიოს კარაისკასზე" წაიყვანა სავარჯიშოდ, ახალგაზრდულმა კი „პანიონიოსის" სტადიონზე ივარჯიშა.

სამწუხაროდ, ეროვნულის ვარჯიშზე დაშავდა „ზესტაფონის" ახალგაზრდა მცველი გიორგი ხიდეშელი — ფეხი გადაუბრუნდა და მისი თამაში საეჭვოა.

სხვა რა გითხრათ? კობა ჟორჟიკაშვილის 21-წლამდელები ბერძენ თანატოლებს დღეს, თბილისის დროით 16.45 საათზე ეთამაშებიან.

დანარჩენი კი ხვალ ვთქვათ...

# ნიკორამ თსუ-ს ხორცი შეასხა



გუშინ ვერის ბაღში ახალი საკალათბურთო სეზონი დუდუ დადიანის მეოთხე მემორიალით დაიწყო. ეს ტურნირი ეროვნული ჩემპიონატის თავისებური პრელუდიაა, რომელიც ზეგ ფინალური ორთაბრძოლებით დასრულდება. ამ ფოტოზე კი „დინამო" — „ავიამშენის" გუშინდელი შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I ( შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# დარჩი, მეფეო!

## რეჰაგელი ქართველებსაც დაუცდის და...



**საბერძნეთის** ნაკრებს დანიასთან 0:1 წაგების შემდეგ მუნდიალ 2006-ზე გასვლის შანსი თითქმის გადაეწურა. რა უნდა მოხდეს, რომ ევროპის ჩემპიონები გერმანიაში გაძვრნენ? ზღაპრული რამ: დანიამ ყაზახეთში ვერ უნდა მოიგოს, თურქეთმა ალბანეთთან ფრედ უნდა ითამაშოს და იმავდროულად ბერძნებმა, სულ ცოტა, რვა ბურთით უნდა სძლიონ ქართველებს.

ამას როგორი შანსი ჰქვია, თავად განსაჯეთ. ჰოდა, საბერძნეთის ნაკრებიდან ოტო რეჰაგელის წასვლაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა ელინელთა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვასილის გაგატცისმა თქვა, „მეფე ოტოს" ახალ კონტრაქტს ვუმზადებთ, მისი გაშვება არ გვინდაო.

„იმედია, რეჰაგელი კონტრაქტს გააზანგრძლივებს. მას ეტყობა, რომ ნაკრებში დარჩენა სურს" — ესეც გაგატცისის სიტყვები.

თავად ოტო კი საქართველოსთან 12 ოქტომბრის თამაშს ელის, მაგის მერე გავარკვევ, ჩემს მომავალსო. ბერძენთა სახელიან მწვრთნელს შეეკითხნენ, ხომ არ ჯობდა, ევრო 2004-ის მოგებისთანავე წასულიყავით, ასე უფრო დაფასებული კაცი იქნებოდითო, რასაც რეჰაგელმა ასე უპასუხა: „მე არასოდეს ვნანობ ჩემს გადაწყვეტილებებზე".

საინტერესო კი ისაა, მაინც რას ელის რეჰაგელი ქართველებთან მატჩში — ჯგუფის მეექვსეადგილოსან, ნირწამხდარ, უმოტივაციო და შემადგენლობადაშლილ ნაკრებს მასპინძლობს და, ვერ მოუგებს თუ?..

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა 17 წრე 9 ტური

# ამერის იმერული წყვილადობა

„ამერი 2"-მა ჭიათურაში „მაღაროელს" იოლად, 6:1 მოუგო, თან ერთბაშად სამმა ფეხბურთელმა — გიორგი ნიკოლაიშვილმა, ბესიკ ჩიმაკაძემ და დიმიტრი ტატანაშვილმა დუბლი მიითვალა. „ამერი 2" კვლავაც ლიდერია, ტურის სხვა მატჩებიდან კი სენსაციური იყო თამარაშენის „ლიახვის" სტუმრად მოგება „ვიტ ჯორჯია 2"-თან.

ტურის ორი მატჩი კი სხვადასხვა მიზეზით გადაიდო: „გურია" — „ჩიხურა" წყალდიდობის გამო არ შედგა, „გაგრა" — „ზესტაფონი 2" კი იმერელთა რამდენიმე ფეხბურთელის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ყოფნის გამო გადაიდო.

**ლუკა თალაკვაძე**

ვიტ ჯორჯია 2 0:1 ლიახვი
მერანი 2:1 მესხეთი
მეშაქრე 4:0 ლოკომოტივი 2
რუსთავი 2:1 მეშახტე
საგარეჯო 0:1 დინამო 2
თბილისი 2 1:1 ზუგდიდი
მაღაროელი 1:6 ამერი 2

გადაიდო
გურია — ჩიხურა
გაგრა — ზესტაფონი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:6 | 22 |
| დინამო 2 | 9 | 6 | 2 | 1 | 19:5 | 20 |
| მერანი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:5 | 18 |
| მეშაქრე | 9 | 5 | 2 | 2 | 13:7 | 17 |
| რუსთავი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:11 | 17 |
| ჩიხურა | 7 | 5 | 1 | 1 | 24:7 | 16 |
| გურია | 8 | 4 | 2 | 2 | 18:10 | 14 |
| გაგრა | 8 | 3 | 4 | 1 | 9:5 | 13 |
| მეშახტე | 9 | 3 | 3 | 3 | 10:7 | 12 |
| მესხეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:10 | 12 |
| ზუგდიდი | 9 | 3 | 3 | 3 | 4:6 | 12 |
| საგარეჯო | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | 11 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:14 | 10 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:10 | 8 |
| ლიახვი | 9 | 2 | 0 | 7 | 10:23 | 6 |
| თბილისი 2 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:19 | 5 |
| მაღაროელი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:25 | 4 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 0 | 0 | 8 | 7:22 | 0 |

### ფინეთი
თასი. VII ეტაპი
მიუპა 2:1 ალიანსი

### შვედეთი
სუპერეტა. XXIX ტური
ვესბი 0:2 იორებრო
ნორჩიოპინგი 2:1 ატვიდაბერგი

### ინგლისი
პირველი ლიგა
XIII ტური
ბრედფორდი 1:2 ჰადერსფილდი

### იტალია
სერია B
IX ტური
პიაჩენცა 0:0 რიმინი
ჩეზენა 2:1 ბარი
სერია C1/B
VII ტური
პისტოიეზე 0:1 აჩირეალე

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XI ტური
ლორიანი 2:1 შატორუ



# ვიტალი დარასელია რეაბილიტირებულია

**ებრაელი** იცხაკ შუმის ვლადიკავკაზის „ალანიას" თავკაცობიდან მოხსნისთანავე გაჩნდა ვარაუდი, რომ ქართველ ლეგიონერებს მთავარ გუნდში დააბრუნებდნენ. ოსური კლუბის ახალმა მწვრთნელმა ალექსანდრ იანოვსკიმ განაცხადა, ქართველების საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო და პირველი რეაბილიტირებული ჩვენიანი დავით კვირკველია გახლდათ.

გუშინ კი ვიტალი დარასელიაც „შეიწყალეს" და ძირითად გუნდში დააბრუნეს: „დარასელია ნორმალურ ფორმაშია, მას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენთვის. მომდევნო მატჩს მოსკოვის „დინამოსთან" ვთამაშობთ და ვიტალი, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში იქნება" — თქვა იანოვსკიმ.

**კახა შალამბერიძე**

# ცარიელი კუჭის ამბავი

## გოჩა ჟორჟოლიანი: თამაშს ახლა ვიწყებთ

უმაღლეს ლიგაში პოლიტიკური მოტივით აღზევებული სოხუმის „დინამოს" თამაში თვალს ვერ ახარებს. გოჩა ჟორჟოლიანის გუნდი ბოლოსწინა მე-15 ადგილზეა, ხოლო წინა ტურში გორის „დილასთან" 0:5 მარცხი ყველაფერზე მეტყველებს. ეგაა, სოხუმელებს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ, ისეთები, უცხოეთშიც რომ უთამაშიათ. მათი იმედი აქვს ჟორჟოლიანს, თუმც ისიც კარგად იცის, რომ გაჭირვებული გუნდისთვის ქულები იოლად არ მოდის — სოხუმის „დინამო" კი პირველ ტურებში მართლაც გაუსაძლის პირობებში იყო, მწვრნელმა ისიც თქვა, 20-დოლარიანი მედიკამენტის შეძენა ვერ მოვახერხეთო... უფრო ვრცლად თავად გოჩა ჟორჟოლიანი გვესაუბრება...



— მოთმინება ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს, მაგრამ საზღვარიც არსებობს. ფეხბურთელებმა ველარ გაუძლეს უფულოდ თამაშს, მონები ხომ არ არიან, ცარიელი კუჭით სირბილი დაავალო. რა ნამუსით მოგვეთხოვა ბიჭებისგან შედეგი?!

**— როდემდე გაგრძელდება ასე? კლუბის დაფინანსების არანაირი პერსპექტივა არ ჩანს?**

— არა, რატომ?! რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანიამ გადმოგვცა თანხა და ცოტა ამოვისუნთქეთ. რა თქმა უნდა, ეს ის ფული არაა, საჩემპიონოდ მებრძოლ გუნდებს რომ აქვთ, მაგრამ ამ ეტაპზე სოხუმის „დინამოსთვის" ესეც დიდი ნუგეშია. უკეთ მოვემზადებით, უახლოესი თამაში „ბათუმთან" გვაქვს „შევარდენზე" და იმედია, მოფერიანებულები ვითამაშებთ.

**— დაახლოებით ერთი თვის წინ თქვით, მოტყუებულები დაგვტოვესო. კერძოდ კი, ასე განაცხადეთ: „ის კაცი, ვინც ტანზე მაისურას იხევდა, არიქა, არაფერს მოგაკლებთო, არსად ჩანს". კონკრეტულად ვისზე იყო ლაპარაკი და მას შემდეგ თუ დაგეხმარათ?**

— მოვა ის დრო, როდესაც მის სახელს ვიტყვი. სამწუხაროდ, ბევრნი არიან ასეთები, მხოლოდ ლაპარაკი რომ იციან და საქმისას გიმტყუნებენ...

**— ადრე ისიც თქვით, მეგობრებიც გვეხმარებიან შეძლებისდაგვარადო...**

— ახლაც ასეა, მაგრამ ბევრია ისეთი, აფხაზეთში დაიბადა, გაიზარდა და ისიც არ იციან, სოხუმის „დინამოს" ლურჯი მაისურები აცვია თუ წითელი. ან საიდან ეცოდინებათ, როცა სტადიონზე ერთხელაც არ ყოფილან. აი, ირაკლი ალასანია სეზონის წინ თითქმის არაფერს დაგვპირებია, მაგრამ თავის კაცობას ამტკიცებს. ჩვენ არაფერი გვითხოვია, ალასანიამ თავად დაგვიბარა და თანხა გადმოგვცა. „ვიტ ჯორჯიასთან" 2:2 რომ ვითამაშეთ, ბატონი ირაკლი გასახდელში შემოგვყვა და ისტორიული ქულა მოგვილოცა — სოხუმის „დინამოსთვის" პირველი საუმაღლესლიგო ქულა საქართველოს ჩემპიონატში. ისე, ამასწინათ ახრიკ ცვეიბა იყო ჩამოსული და, რომ ვუთხარი, სოხუმის „დინამო" უმაღლეს ლიგაში თამაშობს-თქო, სიხარულისგან წამოიყვირა, „მალადეც, ნაშა „დინამო"...

**— კი მაგრამ, ყველა იმას შიშობს, რომ სოხუმის „დინამო" ასეთი მწირი ფინანსების გამო ჩემპიონატის ბოლომდე ვერ მიაღწევს**

— ეს თითქმის გამორიცხულია. ირაკლი ალასანიამ ისიც გვითხრა, შევეცდები, მომავალი წლიდან ბიუჯეტში ჩაგსვათო. ეს ძნელი იქნება, მაგრამ ბიუჯეტში რომც არ ჩაგვსვან, შუა ჩემპიონატში დაშლა არ გვემუქრება.

**— უმაღლეს ლიგაში დარჩენა კი მაინც გაგიჭირდებათ. რეალურად რა შეუძლია სოხუმის „დინამოს"?**

— არ გავვარდებით, ბოლო ტურებში ზედიზედ წაგებები კი ტრავმების ბრალიცაა. ქუთაისში, „ტორპედოსთან" მატჩისთვის მამუკა წერეთელი დაგვაკლდა, გიზო ჯელაძე და თემურ გადელია უკვე მომჯობინდნენ და გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. შოთა ჩომახიძე ჯერ ინდივიდუალურად ემზადება, მაგრამ „ბათუმთან" სათამაშოდ, მგონი, მწყობრში იქნება. ცხრილიც ისეა ჩახლართული, რომ ორი თამაშის მოგებით უკვე მეცხრე ადგილზე გადასვლა შეგვიძლია. ერთი სიტყვით, ფულიც, ასე თუ ისე, გაჩნდა და ძალიან გვინდა, „ბათუმთან" კარგი შედეგი უნდა ვაჩვენოთ.

**ილია ნანობაშვილი**




გამოვიდა ლაშა გოდუაძის
ახალი საფეხბურთო ცნობარი
„ევროპის ჩემპიონატების ისტორია 1960-2004".
მასში ძველი, ისტორიული ფოტოების გარდა, საინტერესო ფაქტებსა თუ სტატიებსაც გაეცნობით, გაიხსენებთ ევროპის ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს, მატჩების ოქმებს...
ცნობარის შეძენა შეგიძლიათ საგაზეთო ჯიხურებსა და წიგნის მაღაზიებში.

geo_geo_fan@hotmail.com

# ჩვენ არ წავალთ სტადიონზე!

*ყაზახეთი „მოვილიეთ" და ახლა საბერძნეთი გველის, თუმცა... რა ყაზახეთი, რის საბერძნეთი... ეროვნული გუნდის ამბებით აღშფოთებული გულშემატკივარი ამ თამაშებს ყურადღებასაც არ აქცევს. მთავარი სხვაა — ფეხბურთი ხელში გვაკვდება! მოკლედ, აგერ თქვენ და აგერ დღევანდელი ფოსტა...*

**KALANDIA-A**: *ყაზახებთან თამაშებს ვინც უყურა, მიხვდებოდა, რომ მათზე სუსტი გუნდი საქართველოს ნაკრებებს ჯერ არ შეხვედრია, მაგრამ ჩვენ ხომ ჯიგრები ვართ, ქულა არ ჰქონდათ მოპოვებული და მთლად უქულოდ ხომ არ ჩავამთავრებინებდით ციკლს. მაგრამ ჩვენი უბედურება ისაა, რომ სხვისთვის ყოველთვის ჯიგრებად დავრჩებით, ჩვენ კი ამგვარი ფიასკოები გარანტირებული გვექნება. უბედურება ისაა, რომ ქართველი გულშემატკივარი შეეგუა ნაკრების წარუმატებლობას და კიდევ დიდი ხანი ვიქნებით შეგუებულები. ადრე იმედი მაინც გვქონდა, ახლა ისიც დაგვიკარგა საქართველოს ნაკრებმა. უყურეთ ფეხბურთს საქართველოს ნაკრების შესრულებით და უკანასკნელი იმედიც გაგიცრუვდებათ. ესაა რეალობა.*

*დარსაძეს თუ ოდნავ მაინც თავმოყვარეობა აქვს, უნდა გადადგეს. ახალკაცს კი მოვუწოდებთ, უაზრო იდეები თავიდან ამოიგდოს, იგი ალბათ კარგი იურისტია, მაგრამ არა პრეზიდენტი.*

*მაშინ გამოდით თქვე დალოცვილებო და თქვით, რომ საქართველოს ნაკრებს ამზადებთ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის. სხვანაირად ვერ ამიხსნია ამდენი ბავშვის მიწვევა ნაკრებში. ეჰ, გვეშველება რამე, ქართველებო?*

საინტერესო შეკითხვით მთავრდება ეს წერილი და ჩვენი მართლაც უბედურება ისაა, რომ პასუხი არ გვაქვს. რაც შეეხება ჯიგრობას, ქართული სტუმარმასპინძლობის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი.

**LADOSHVELA**: *გამარჯობა, „სარბიელო". რა არის იცით, მოსაბეზრებელია ყველაფერი, რაც ამ დღეებში ჩვენს ფეხბურთში ხდება, ყველაფერი მოსაბეზრებელია — თამაშიც, კრიტიკაც, ლანძღვაც, ქებაც და, ყველამ კარგად იცის, რატომ არის ეს ყველაფერი მოსაბეზრებელი. იმიტომ, რომ ყველამ, მთელმა ქართულმა საფეხბურთო სამყარომ, ჩვენ, უბრალო გულშემატკივრებს თავი მოგვაბეზრა. და იცით ამას ყველაფერს რა მოჰყვება? უეფას აღარ დასჭირდება სადისციპლინო კომიტეტის მოწვევა, უბრალოდ, ჩვენ, გულშემატკივრები თავადვე აღარ წავალთ თამაშებზე და ატაროს მერე გ. დარსაძემ სპარინგ-მატჩები სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებთან და უგულშემატკივრონ მინისტრებმა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებმა თავის არჩეულ პრეზიდენტს და მის არჩეულ მწვრთნელს...*

*რა არის იცით, ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ ფეხბურთელი, რაოდენ ნიჭიერიც უნდა იყოს, ნაკრებში კი არა, გუნდში უნდა გაიზარდოს, მწვრთნელი არ არის. ადამიანმა, რომელმაც არ იცის, რომ ნაკრებში მომზადებული ფეხბურთელები უნდა მიიწვიო და არა ჩამოუყალიბებელი ლლაპები, მწვრთნელი არ არის. ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია თავისი ტაქტიკური ჩარევით თამაშის ბედი შეცვალოს ისეთ უსუსურ ნაკრებთან, როგორიც ყაზახეთია და მერე თავს იმართლებს რაღაც სისულელეებით, მწვრთნელი არ არის. და საერთოდ, ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში თავის ადგილს ვერ ხედავს და არ შეუძლია თავისი რეალური შესაძლებლობების დანახვა, თანაც ამით ყველაფერს აფუჭებს, საერთოდ არაფერი არ არის.*

*მოვბეზრდა, ყველას ყველაფერი მოგვბეზრდა და ასეთი ნიჰილიზმი და აპათია მხოლოდ და მხოლოდ თქვენი, ბატონებო, დიახ, თქვენი ქართული ფეხბურთის სათავეში ძალით მოყვანილი და შეგულიანებული ხალხის ბრალია და მოდით, ნუ დაიწყებთ პოლიტიკური ხასიათის განცხადებების კეთებას თქვენს მიერვე გაფუჭებული საქმის გამოსასწორებლად, იმიტომ, რომ ხალხი ბრმა არ არის, ხალხი ყველაფერს ხედავს და გრძნობს და ხალხი თქვენ სულ მალე იმ ადგილს მიგიჩენთ, სადაც უნდა იყოთ — პარაშასთან!*

*P.S. გ. დარსაძევ, ემზადეთ უმაყურებლო თამაშებისთვის, თქვენც ნ. ახალკაცო-JUNIOR...*

ვიფიქრე, გაიოზ დარსაძეს ადვოკატად დავუდგები-მეთქი, მაგრამ ავტორს ისეთი არგუმენტები აღმოაჩნდა, რომ...

რაც შეეხება, პარაშას... ჰო, სხვა წერილზე გადავიდეთ...

**FCXOBI**: *რა გითხრათ, რით გაგახაროთ... ახლა რომ ვთქვა, ის კაცი მე ვარ, ვინც საქართველო — ყაზახეთის შედეგი იწინასწარმეტყველაო, დარსაძე, ახალკაცი და ძმანი მათნი უმალ ქვეყნის მტრად გამომაცხადებენ. დიახ, მე ვიყავი, ბატონებო, ეგაა მხოლოდ, ანგარიში ვერ გამოვიცანი, მე 1:1-ს ვვარაუდობდი, 0:0 კი მორჩა.*

*ბატონო გაიოზ, ხომ ვერ ჩამოიშორეთ სირცხვილი?! ჰოდა, ვერც ჩამოიშორებთ, იმიტომ, რომ თქვენს კვალიფიკაციაში ქართული ფეხბურთის ნაღდ გულშემატკივარს ეჭვი კარგა ხანია, შეტანილი აქვს. რაო, რაო? საბერძნეთთან გვაქვს თამაში არა?! ჰოდა, ინებეთ. საბერძნეთი — საქართველო... აქაც 6:1!!! გამიგეთ, ხალხნო, ნაღდად არ ვარ ქართული ფეხბურთის მტერი, პირიქით, შეიძლება თქვენზე მეტადაც მიყვარდეს კალაძე, ასათიანი, კობიაშვილი, ხიზანიშვილი და ბიჭები, მაგრამ ნაღდად მეცოდებიან ისინი ასეთი უსუსური მწვრთნელის ხელში.*

*ვიჯექი ჩემთვის ტელევიზორთან, ვუყურებდი ჩვენების თამაშს და გული გახეთქვაზე მქონდა, რომელ ჯიგარზე, რომელ სულისკვეთებაზეა ლაპარაკი, როცა მოგებაზე „დაგეშილი" მწვრთნელი „ზამენას" 85-ე (!) წუთზე აკეთებს?! თავის მართლება კი კარგად იცით, აბა, დემეს რომ პენალტი გაეტანა, ვნახოთ, რა როგორ მორჩებოდაო. წადით, რა, უვიცებოოოო...*

*ნოდარ ახალკაცო, გაიოზ დარსაძევ, ქართული ფეხბურთის წარმატებაზე „მზრუნველო" ხალხო, საქეიფოდ გაქვთ საქმე არა?!*

*...ამ სასმისით, იმ ოტო რეჰაგელს გაუმარჯოს, ვინც ევროპის ჩემპიონი გუნდის მწვრთნელია, ვისაც ბოლო ტურში მოგება ღვინოსავით სწყურია და, რომელიც დაგვინდობს, ევებ, მხოლოდ 1:0 მოგვიგოს, მერე რომ სამშობლოში თავაწეულნი დავბრუნდეთ. მოგება ხომ მოგებაა, გინდ 6:1 მოვიგია და გინდ 1:0...*

ეს წერილი ისეთი კაცის დაწერილი ჩანს, უეჭველად კაი მოქეიფე იქნება. ნახეთ, რა სადღეგრძელოები სცოდნია... საქმეზე გადავიდეთ: მოქეიფეც ყოფილა და ყაზახების ჯაშუშიც...

**MSHIERI VASO**: *შვილიშვილი ბაბუას ... ასწავლიდაო, ხომ გაგიგიათ? ისეა გაიოზ დარსაძესა და ფეხბურთელებს შორის, ოღონდ, ამ შემთხვევაში შვილიშვილი დარსაძეა. რა უნდა ასწავლოს მან გინდ კალაძეს, გინდ კობიაშვილს, გინდ ხიზანიშვილს. ხომ ხედავთ, ფეხბურთელები უკვე გაურბიან მაგ ვითომ-მწვრთნელს. კარგად თუ დააკვირდით, დაინახავდით, რომ ასათიანმა სპეციალურად აიკიდა ყვითელი ბარათი, რათა საბერძნეთთან არ ეთამაშა.*

*მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ: ყაზახეთთან რომც წაგვეგო, ახლა საბერძნეთთან 0:10 რომ გავნადგურდეთ და მერე სუპერ-ამხანაგურში სუპერმეტოქე იორდანიასთანაც 0:5 შევრცხვეთ, ახალკაცი-უმცროსი დარსაძეს არ მოხსნის!!! ერთადერთი გამოსავალი ისაა, თავად იმ სახელმწიფო პირებმა (ვინც ახალკაცი დასვა პრეზიდენტად) მოაძრონ ახალკაც-დარსაძე ერთად*

*მაგრამ, რა — ამ ტვიქსივით „სლადკაია პაროჩკას" ამოუჩემებია, მომავალზე ვაკეთებ აქცენტსო და სახელმწიფოსაც ატყუებენ. ჰოდა, დაგვიჯერეთ, მომდევნო შესარჩევი ციკლის საწყის სამ-ოთხ თამაშს რომ წავაგებთ, მერელა თუ იფიქრებს „ზედა ინსტანცია" ახალკაც-დარსაძის მოშორებაზე. იქამდე კი, წააგე და იბატონე...*

*და ერთიც, მე ეჭვი არ მეპარება კობა ჟორჟიკაშვილის კვალიფიკაციაში, მაგრამ ეგ კაცი თავისით არ მოქმედებს ზემოდან რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებს. ასევე ეჭვი არ მეპარება, რომ განუგრავა, ხიდეშელი, რევიშვილი, მჭედლიშვილი და სხვები ნიჭიერი ბიჭები არიან და ნელ-ნელა უნდა შეაჩვიო ისინი ნაკრებს, მაგრამ გააჩნია, ვის ხელში. დარსაძის დასტვენილზე რა უნდა ისწავლონ. ალალად მეცოდებიან ეს ბიჭები. მაგათ ხომ ახლა უნდათ ნორმალური სპეციალისტი! მომავალ შესარჩევ ციკლამდე და მორიგ 0:5, 0:6, 0:7-მდე, მშვიდობით!!!*

ოჰო, ანგარიშები გვცოდნია და ბარემ ისიც გვითხარი პატივცემულო მშიერო ვასოვ, ვისთან წავაგებთ ასეთი თანამიმდევრობით?

**GAIOZ-T**: *პატივცემულო „სარბიელო" და პატივცემულო ქართველო გულშემატკივარო! მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მეც ვთქვა ორიოდ სიტყვა ამ ჩვენს ერთობლივ სატკივარზე, რომელსაც საქართველოს ნაკრები და ქართული ფეხბურთი ჰქვია. ძალიან მძიმეა ამ უსუსურობის საქართველოში ყურება, მაგრამ ერთიორად უფრო ძნელია უცხოეთიდან დანახული თვალით ამდენი დემაგოგიის მოსმენა. დანიასთან მატჩის ცქერას ერთ უზბეკ მეგობართან ერთად ინტერნეტით ვაპირებდი, მაგრამ ამაოდ. ბევრი უყურებს და ამიტომ სერვერი გადატვირთულია-მეთქი, ვუთხარი. მაგისთვის ნუ დარდობ, უცებ გაუშვებთ 2-3 გოლს და მერე აღარ იქნება გადატვირთული და მატჩის მეორე ნახევრით შეძლებ დატკბობასო, დამცინა. ვერც შევეპასუხე. უზბეკეთი გაცილებით ახლოსაა გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატთან და იმიტომ.*

*რამდენიმე კითხვა მაქვს ფედერაციის ახალ თავკაცთან:*

*1. თავად თუ ყოფილა მსგავს სიტუაციაში საზღვარგარეთ ყოფნისას და თუ სდომებია სიტუაციის გამოსწორება? თუ არა და, რა უნდა ფეხბურთის ფედერაციაში, თავისი ქვეყნის ნაკრების თამაშების ყურებასაც თუ არ ცდილობდა უახლოეს წარსულში?*

*2. უკვე ბევრმა თქვა, მაგრამ მაინც გავიმეორებ: გასაგებია უფულობა, მაგრამ ამ წუწუნს სჯობს, ის ითქვას, თუ რა კეთდება ფულის საშოვნელად, თუ არაფერი და არაფრის (და ფულის) კეთებაში ჩემპიონი წინა ხელმძღვანელობა იყო და რას ართმევდით ადვილს?*

*3. გასაგებია, რომ გუნდის დაკომპლექტებას და ფეხბურთელების გამოძახებას მწვრთნელი არ სჭირდება და ეს შტატი საერთოდ გასაუქმებელია თანამედროვე ფეხბურთში, მაგრამ სანამ ასეთ რევოლუციას მოვახდენთ, თვალებში ნაცრის შეყრაა იმის ძახილი, დელ ბოსკემ ამდენი მოითხოვა და აბა, როგორ დავნიშნავდითო. ბატონებო, იცით, ალბათ მაგალითად, რომ ვერსაჩეს ფირმის სამოსით თავის მოწონება საშუალო ქართველის მინიმუმ 50 თვის ხელფასი დაჯდება და ვისაც ამის შესაძლებლობა არ გააქვს, თქვენი ლოგიკით ძველი გადარეულებივით უნდა ვიაროთ?*

*4. რა უნდა დარსაძეს ნაკრებში? თუმცა, ეს მგონი, ახალი ქართული სენია: უკეთესი ვერავინ ვნახეთ და რა ვქნათ. ჰიმნის ამბისა არ იყოს (ისე, ისიც კულტურის და სპორტის სამინისტროა) უკეთესი არავინ დაწერა და ეს ვიმღეროთ. ან უკეთესად მოძებნეთ, ან დაანებეთ თავი მაგ საქმეს.*

*კიდევ უამრავი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საბერძნეთთან სამარცხვინო წაგების შემდეგ კიდევ უამრავი აღშფოთებული და გულნატკენი ადამიანი მოიწერება და იმათაც დაველოდოთ.*

*დამშვიდობებისას კი, უმორჩილესად მინდა, ყველა გულშემატკივარს ვთხოვო: საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს მარტო სახელით ნუ მოიხსენიებთ ლანძღვისას! თავადაც მიხვდებით, რა ისრითაც ვარ ნაჩხვლეტი!*

*P.S. ბორა მილუტინოვიჩი გაათავისუფლეს სამსახურიდან და ვინმემ თუ გაიფიქრა მასზე?*

ახალი განმარტება გვაქვს:

შეცდომაა — გადადექი, გაიოზ!

სწორია — გადადექი, გაიოზ დარსაძევ!

რაც შეეხება ჰიმნს, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ხალხს რაღაც მოეწონა, თანაც ძალიან.

თქვენ კი, ჩვენო ერთგულო მკითხველო, მოიწერეთ. საბერძნეთთან მატჩამდე ეს რუბრიკა თავის ავტორებს კვლავაც ელის.

**WEB-ოსტატი ბუარა**

# ტოტის — კი, კასანოს — არა!



მარჩელო ლიპი ფრანჩესკო ტოტის შეუცვლელად მიიჩნევს

**მარჩელო ლიპიმ** აღიარა, რომ ფრანჩესკო ტოტის შემცვლელი არ ჰყავს. რომაელი ნახევარმცველი ლიპის 4-3-1-2 ტაქტიკისთვის ზედმოჭრილია.

„მას ალტერნატივა არ ჰყავს — განაცხადა მწვრთნელმა ტელეინტერვიუში — ტოტის გარეშე 4-4-2-ზე გადაწყობა მოგვიწევს. ფრანჩესკოს ნახევარმცველობიდან ფორვარდად გადაქცევა შეუძლია, თან ყოველთვის აკონტროლებს თამაშს“.

გარდა ამისა, „სკუადრა აძურას“ თავკაცმა ისიც აღნიშნა, დელ პიეროს და კრისტიან ვიერისაც ძალუძთ შეტევის გაძლიერება და ორივეს ვენდობიო.

ლიპის „პალერმოს“ ფანებმა სლოვენიასთან მატჩში ლუკა ტონის შეცვლის გამო უსტვინეს, მაგრამ მწვრთნელმა თავი დაიცვა: „ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე მისტვენდნენ, ამიტომ ტონის შეცვლისას დიდად არ მინერვიულია. მე მატჩის მოგებაზე უნდა ვიფიქრო და არა გარშემო შექმნილ ვითარებაზე“.

იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი დინო ძოფი დარწმუნებულია, რომ „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავა.

„იტალია დღეს მსოფლიოს ოთხ საუკეთესო გუნდშია — თქვა ძოფმა — ჩვენს ნაკრებში სუსტი წერტილი ვერ ვნახე. მხოლოდ თამაშის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება გვჭირდება. გუნდის შესათამაშებლად რაც შეიძლება, მეტი ამხანაგური მატჩი უნდა გავმართოთ, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. რაც შეეხება ფრანჩესკო ტოტის, ის ნაღდად ლიდერია, თუმც მთელი პასუხისმგებლობა მას არ ეკისრება. ხოლო ანტონიო კასანოს ნაკრების მაისურა თუ სურს, გოლების გატანას უნდა უხშიროს. მე ძველყაიდური კაცი ვარ და ნათამაშებ მატჩებსა და გოლებს ვადარებ. კასანოს ჯერ არ უჩვენებია ქვეყნისთვის, რომ ის ნაკრებში მუდმივად იმსახურებს ადგილს“.

**გაჟა ხუციშვილი**

# მე იბრაჰიმოვიჩი მინდა!
## კაპელოს ნაკრები არ უნდა



**მავანმა** უბედნიერესმა შვედმა ლატარიაში 9 მილიონ ევროზე მეტი მოიგო. ახალგამომცხვარი მილიონერი „ვესბის“ ქომაგი ყოფილა, რომელიც შვედეთის მეორე დივიზიონში თამაშობს და სურს, ტურინის „იუვენტუსიდან“ ზლატან იბრაჰიმოვიჩი შეიძინოს. ლატარიის ორგანიზატორმა ტომი ვოლგრენმა დაადასტურა, რომ „იუვეს“ ფორვარდს შეძენის თაობაზე მილიონერთან ისაუბრა. 9 მილიონი ევროს პატრონი თურმე ზლატან იბრაჰიმოვიჩის თავგადაკლული ფანია და ამიტომაც ცდილობს მეგოლის სამშობლოში დაბრუნებას.

„იუვენტუსის“ თემა ფაბიო კაპელოთი განვაგრძოთ, რომელმაც განაცხადა, იტალიის ნაკრების მწვრთნელობა არ მაინტერესებსო.კაპელომ საკლუბო დონეზე „მილიონთან“ „რეალთან“, „რომასთან“ და „იუვენტუსთან“ ერთად ჯილდოები მოაგროვა, ახლა კი ამბობენ, თავის დროზე ლიპი უნდა შეცვალოსო.

„ბედნიერი ვარ, რომ იტალიამ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ერთი ტურით ადრე მოიპოვა — განაცხადა ტურინული გუნდის თავკაცმა — მაგრამ „სკუადრა აძურას“ თავკაცობაზე უკაცრავად“.

ევროპულ კლუბებში თავგამოჩენილი კაპელო ლიპის შემცვლელად მიაჩნიათ. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ სვენ გორან ერიკსონის დანიშვნამდე ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია კაპელოს ეკურკურებოდა.

„იუვეს“ თავკაცს კლუბთან კონტრაქტი 2007 წლამდე აქვს, ხოლო ლიპის კონტრაქტის ვადა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე ეწურება.

**გაჟა ხუციშვილი**

# სპორტინგი კამაჩოს ითხოვს

**პორტუგალიურ** სპორტულ გაზეთ „რეკორდის“ მიერ მოწყობილი გამოკითხვის მიხედვით, ლისაბონის „სპორტინგის“ ინჩასებს ყველაზე მეტად ის გაახარებთ, თუ კლუბის დამრიგებლად ესპანელი ხოსე ანტონიო კამაჩო ეყოლებათ. როგორც კასტილიელი სპეციალისტის წარმომადგენელმა პედრო დე ფელიპემ განაცხადა, კამაჩო მალე სამწვრთნელო სარბიელზე დაბრუნებას აპირებს.

„რეკორდის“ ჟურნალისტები სულ „სპორტინგის“ 2 ათას ფანს დაუკავშირდნენ. ამათგან 36 პროცენტმა უპირატესობა ესპანელ ხოსე ანტონიოს მიანიჭა, დანარჩენების ხმები კი ლისაბონელთა დღევანდელ მწვრთნელ ჟოზე პეშეირუსა და მისი თანაშემწის, პაულო ბენტუს სასარგებლოდ განაწილდა.

ლუზიტანურმა მედიამ ლისაბონში კამაჩოს შესაძლო ჩამოსვლაზე ლაპარაკი იქაური სუპერლიგის წინა ტურში, „სპორტინგის“ „ფერეირასთან“ 3:0 განადგურების შემდეგ დაიწყო. „რეკორდის“, „ოჟოგოს“ და სხვა გამოცემათა კორესპონდენტების აზრით, ჟოზე პეშეირუ გუნდის დამრიგებლად დიდხანს ვერ დარჩება.

**ლადო ხომერიკი**





სვენ გორან ერიკსონი ინგლისის წარმატების სჯერა

# ერიკსონის ინგლისი თასისთვის იბრძოლებს

**შაბათს** ინგლისის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ამ საქმეში მას ჰოლანდიის ნაკრები და უეფას მეორეადგილოსანთა წესი დაეხმარა. ასე რომ, აზრი დაკარგა შაბათამდე გადამწყვეტ და რთულ თამაშად მიჩნეულმა შეხვედრამ პოლონელებთან.

ინგლისელები ძალიან გაახარა გასვლამ: უკვე კვირას მათ თავი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებად გამოაცხადეს.

მაიკლ ოუენმა თქვა, ერთი ბრაზილია თუ გვჯობია და იმასთანაც ომი შეიძლებაო.

ფეხბურთის ასოციაციამ კი გამოაცხადა, რომ ფეხბურთელები, რომლებმაც უმრავლეს შესარჩევებში ითამაშეს 20-20 ათასი გირვანქით დაჯილდოვდებიან, ხოლო თუ ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება, თითოეული მოთამაშე 300 ათას გირვანქას მიიღებს. ეს ციფრი ჯერჯერობით არაოფიციალურია და იქედან გამომდინარეობს, რომ ევროპის ჩემპიონობისთვის პრემია თითოეულზე 250 ათასს შეადგენდა.

პრემიის ოდენობას ფეხბურთელთა კომიტეტისა და ასოციაციის ბოსების თათბირი გადაწყვეტს.

დევიდ ბექემი, სოლ კემპბელი, მაიკლ ოუენი და გარი ნევილი ტრევორ ბრუკინგსა და ბრაიან ბერვიკს შეხვდებიან.

ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონიც უზომოდ ბედნიერი ჩანს: „ჩვენ ძალიან კარგი გუნდი ვართ და მსოფლიო ჩემპიონატზე სათანადოდ გამოვალთ. ჩვენ მსოფლიოს 4-5 საუკეთესო გუნდს შორის ვართ და თუ იღბალიც გვექნება, თასსაც მოვიგებთ“.

ამ შემოდგომაზე შვედს გვარიანი კრიტიკა შეხვდა დანიასთან ამხანაგურად 1:4-ის წაგებისა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მარცხის შემდეგ, თუმცა, ერიკსონმა კრიტიკოსებს ყური არ ათხოვა და ავსტრიელთა და პოლონელთა უცვლელი ძლევის პირობა დადო. ჰოლანდიელთაგან ჩეხების ძლევის წყალობით, ინგლისს ავსტრიელების დამარცხებაც ეყო.

„ახლა მღელვარედ ვარ — ხარობდა ერიკსონი — რადგან ბელფასტში წაგების შემდეგ კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ ფინალურ ეტაპს ვარეთ ვრჩებით. ოღონდაც, ამან უკვე ჩაიარა და მსოფლიოს თასისთვის ვემზადებით“.

**ირაკლი გამყრელიძე**



მაიკლ ოუენის განწყობა ოპტიმისტურია

### ბელგია
**II დივიზიონი. VII ტური**

ლომელი — გეელი 2:1; ანტვერპენი — ტუბიცე 4:1; ეუპენი — დესელი 0:3; ჰეუსდენი — მონსი 0:2; კორტრაიკი — ვიგორი 1:3; მეხელენი — რონსი 2:2; ოუდ ჰევერლი — დაინცე 5:0; ვაასლანდი — ოსტენდე 1:0; სენტ ჟილი — ვირტონი 2:2

### ჰოლანდია
**II დივიზიონი. XII ტური**

ემენი — მაასტრიხტი 2:2; ალმერე — ზვოლე 0:1; იგლსი — ეინდჰოვენი 2:2; ტელსტარი — ვენდამი 1:1; აპელდორნი — ოსი 2:2; კამბური — გრაფსხაპი 1:1; სიტარდი — ვოლენდამი 0:1; ჰელმონდი — ჰაარლემი 1:0; ვენლო — დორდრეხტი 2:0

### საფრანგეთი
**II დივიზიონი. XI ტური**

კლერმონი — გრენობლი 1:0; დიჟონი — კაენი 0:2; გენგამი — ლე ავრი 1:1; ისტრი — გენიონი 0:1; ლავალი — ბრესტი 1:0; რეიმსი — კრეტეი 1:0; სედანი — მონპელიე 2:0; სეტე — ბასტია 1:0; ვალანსი — ამიენი 0:0. ლორიანი — შატორუ გუშინ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2) გვერდი

### ბრაზილია
**სერია A. XXXI ტური**

პარანა — ფლუმინენსე 6:1; კორიანთიანსი — ფორტალესა 3:0; ბოტაფოგო — პალმეირასი 1:2; კრუზეირო — ფიგეირენსე 4:0; ჟუვენტუდე — სანტოსი 3:1; გოიასი — ვასკო 4:3

# კაბალეირო ფლორესი




კიკე სანჩეს ფლორესმა მოიბოდიშა

„ვალენსიას" დამრიგებელმა კიკე სანჩეს ფლორესმა თავისი ფეხბურთელები შეკრიბა და... „ხეტაფე" — „ვალენსიას" მატჩის დროს არბიტრის მისამართით გამოთქმული პრეტენზიებისთვის ბოდიში მოუხადა.

„ჩემმა სიტყვებმა დიდი სკანდალი გამოიწვია, რასაც ძალიან ვნანობ. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯმა პერეს ლიმამ „ხეტაფესთან" წაგვაგებინა, ასე არ უნდა განვრისხებულიყავი. ვალენსიასნაირი გრანდის მწვრთნელს თუნდაც სამართლიანი მოთხოვნის გამო მედიასთან ზედმეტად წუწუნი არ ეკადრება" — აღნიშნა კიკემ მოწაფეებთან საუბარში.

„ლამურების" მაესტრომ ექსკლუბთან მარცხის მერე მატჩის არბიტრი პერეს ლიმა სასტიკად გამოლანძღა და არაპროფესიონალი უწოდა.

„ეს შეხვედრა არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაგვეგო. პერეს ლიმა მეტოქე გუნდის მეთორმეტე ფეხბურთელად მოგვევლინა — ვერაფრით ვერ გავიგე, თამაშის წესების სრული დაცვით გატანილი ვილიას გოლი რატომ არ ჩათვალეს. მერეც ვილას მოედნიდან გაძევება აბსოლუტური სისულელე იყო. თუ ლიმას და კიდევ რამდენიმე სხვა არბიტრს წესიერად მსაჯობა არ შეუძლიათ, აღიარონ და ფედერაციაც მათ მაგივრად მატჩების ბედის გადაწყვეტას კომპიუტერულ ტექნიკას ანდობს" — თქვა რამდენიმე დღის წინ აღშფოთებულმა ფლორესმა.

ამ განცხადებებს, ცხადია, მოწინააღმდეგე გუნდის ბანაკიდან შესაბამისი რეაქცია მოჰყვა და „ხეტაფეს" პრეზიდენტმაც პასუხი არ დააყოვნა — მსაჯი არაფერ შუაშია, ის შერკინება ალალად მოგიგეთო.

„ჩემთვის მთავარი კლუბის ღირსებაა. ახლა ვხვდები, რომ არბიტრის შეცდომებზე ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირდა. ვეცდებით, ის ავბედითი 2:1 მომავალ მატჩებში გამარჯვებებით დავივიწყოთ" — თქვა „ლამურების" ფიცხმა თავკაცმა.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ივან ელგერას ინგლისი უხმობს

**BBC-ს** ცნობით, მადრიდის „რეალის" მცველი ივან ელგერა შეიძლება სამომავლოდ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდეს. მას სამეფო გუნდთან კონტრაქტი 2006 წლის ივნისში უმთავრდება, თუმცა ჯერჯერობით „რეალის" თავკაცობა ხელშეკრულების განახლებაზე თავს იკავებს.

„იუნაიტედი" ესპანელის შეძენას იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ეცდება. ფერგიუსონი და კარლუშ კეიროში ელგერას მობერებული რიო ფერდინანდის ნაცვლად ათამაშებენ. მოგეხსენებათ კეიროში ადრე „რეალში" ივანის დამრიგებელი იყო და ამიტომაც კასტილიელის „მანჩესტერში" გადაბარგების იდეა საკმაოდ მყარია. თუმც „წითლებს" მეტოქეებიც ძლიერი ჰყავს — სამეფო გუნდის მცველის ხელში ჩაგდებაზე „ლივერპული" და „ნიუკასლიც" ნადირობენ.

**ლადო ხომერიკი**



ჰამბურგში რაფაელ ვან დერ ვაარტის ეიმედებათ

# კიგანი ჰამბურგში დაბრუნდა
## დოლი გრძელდება

„**ჰამბურგის**" დირექტორმა დიტმარ ბეიერსდორფმა რაფაელ ვან დერ ვაარტი კლუბის ლეგენდარულ ფეხბურთელ კევინ კიგანს შეადარა.

ჰოლანდიელი ნახევარმცველი გერმანიაში „აიაქსიდან" გასულ ზაფხულს გადავიდა, როცა უკვე მისი „ვარსკვლავის ჩაქრობაზე" ჭორაობდნენ. სამშობლოში რაფაელ ვან დერ ვაარტს „ჰოლანდიელი ბექჰემიც" კი შეარქვეს პრანჭიობის გამო, მაგრამ ბუნდესლიგაში გაილაღა და მისი წყალობითაა, რომ „ჰამბურგი" საჩემპიონოდ იქაჩება.

„ყველაფერი ისე მიდის, როგორც კიგანის გადმოსვლის შემდეგ ხდებოდა" — განაცხადა ბეიერსდორფმა.

კევინ კიგანმა „ჰამბურგის" მაისურით 90 მატჩში 32 გოლი მიითვალა, 1979-ში კი ბუნდესჩემპიონობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ რაფაელ ვან დერ ვაარტი 1983-შია დაბადებული, სწორედ იმ წელს, რომლის შემდეგაც „ჰამბურგს" ბუნდესლიგა აღარ მოუგია.

დიტმარ ბეიერსდორფი თომას დოლის მწვრთნელობით კმაყოფილია და კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა. დოლმა გრძელვადიანი კონტრაქტზე უარი თქვა, ორწლიან გარიგებაზე კი დაჰყაბულდა: „არ ვარ ის კაცი, სკამზე რომ მიეწებება" — თქვა „ჰამბურგის" მწვრთნელმა.

**გაჟა ხუციშვილი**

# ჩხუბი ბექჰემმა დაიწყო...



სერხიო ბალესტეროსი

**ესპანური** „მალიორკას" ფეხბურთელმა სერხიო ბალესტეროსმა თავის ინჩასობას პრემიერდივიზიონის მეექვსე ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩადენილი საქციელისთვის მოუბოდიშა.

„მაშინ „რეალის" წინააღმდეგ ჩემს გამო გუნდი 10 ფეხბურთელის ამარა დარჩა. სისულელე ჩავიდინე, ბექჰემის პროვოკაციას ავყევი და წითელი ბარათიც მივიღე. „მალიორკას" ფანებისთვის ეს არ უნდა მეკადრებინა" — თქვა კუნძულელთა აგრესიულმა მოთამაშემ კატალონიურ „ელ მუნდო დეპორტივოსთან" ინტერვიუში.

ბალესტეროსს ესპანურ პრიმერაში დიდი მოჩხუბრის სახელი აქვს გავარდნილი — ადრე „ბარსას" კაპიტან პუიოლს გაარტყა, ახლა კი ინგლისელ გალაქტიკოსს დაესხა თავს. თუმცა იგი ჩხუბის პროვოცირებაში ბექჰემს ადანაშაულებს.

„ბექჰემი კატალავით შემპარავი და მოქნილია. „ბერნაბეუზე" პირველად მან ჩამარტყა ფეხი, რაც, საუბედუროდ, არავის დაუნახავს, ხოლო მერე მე რომ ვკლეწე მთელმა მსოფლიომ შენიშნა" — განაცხადა გალიზიანებულმა სერხიომ.

**ლადო ხომერიკი**

## იტალია

### სერია B. IX ტური

**მოდენა 1:0 კატანძარო**
1:0 გური (41)

**კატანია 2:2 ვიჩენცა**
0:1, 0:2 გონსალესი (58, 63), 1:2 გრაშეკი (79ს.კ.), 2:2 რუსო (90)

**კროტონე 1:1 მანტოვა**
1:0 გუზმანი (62), 1:1 ნოსელი (75)

**ბრეშა 1:0 ტრიესტინა**
1:0 პოზანცინი (26)

**აველინო 2:1 კრემონეზე**
1:0 მორეტი (30), 1:1 პრისკანდარო (35), 2:1 რასტელი (57)

**ატალანტა 2:0 ალბინოლეფე**
1:0, 2:0 ვენტოლა (28, 61პ)

**არეცო 2:2 პესკარა**
1:0 ანტონიონი (30), 1:1 ტონოცი (40), 1:2 გაუტიერი (57), 2:2 ფლორესი (90)

**ტორინო 0:0 ბოლონია**

**ვერონა 1:0 ტერნანა**
1:0 გერვასონი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 9 | 6 | 3 | 0 | 14:6 | 21 |
| მოდენა | 9 | 5 | 4 | 0 | 10:3 | 19 |
| ატალანტა | 9 | 6 | 0 | 3 | 13:11 | 18 |
| ტორინო | 8 | 5 | 2 | 1 | 9:3 | 17 |
| კატანია | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 15 |
| ვერონა | 9 | 4 | 3 | 2 | 9:5 | 15 |
| ტრიესტინა | 9 | 4 | 3 | 2 | 8:4 | 15 |
| ჩეზენა | 8 | 5 | 0 | 3 | 14:11 | 15 |
| კროტონე | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 |
| არეცო | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| ბრეშა | 9 | 3 | 4 | 2 | 11:9 | 13 |
| ბოლონია | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| პესკარა | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| პიაჩენცა | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| რიმინი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 9 |
| ვიჩენცა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| აველინო | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| ბარი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:8 | 6 |
| კრემონეზე | 9 | 1 | 3 | 5 | 7:12 | 6 |
| ალბინოლეფე | 9 | 0 | 5 | 4 | 5:10 | 5 |
| ტერნანა | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | 5 |
| კატანძარო | 9 | 1 | 1 | 7 | 5:14 | 4 |

## საბერძნეთი

### ნაციონალლიგა გად. მატჩი

**ეგალეო 0:0 ოფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:1 | 15 |
| ქსანთი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| ატრომიტოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| აეკ | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| იონიკოსი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 7 |
| კალამარია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| პაოკ | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ლარისა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| ლევადიაკოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ეგალეო | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | 6 |
| ტრატიტოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ირაკლისი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| ოფი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| პანიონიოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:15 | 2 |
| კალითეა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი
### VII ტური

**პოლი ეხიდო 2:0 ხიმნასტიკი**
1:0 ვეგა (23), 2:0 ტოედტლი (56)

**ფეროლი 2:3 ალბასეტე**
1:0 აირა (8), 1:1 პაჩეკო (21), 1:2, 1:3 მარიო (80, 87), 2:3 ბახა (89პ)

**ლეიდა 0:1 ჰერკულესი**
0:1 მოისესი (65)

**ტენერიფე 2:1 ნუმანსია**
1:0 მაიკელი (31), 1:1 ტევენეტი (58), 2:1 მაიკელი (59)

**ლევანტე 1:3 უელვა**
1:0 რიგა (46), 1:1 პუჩე (59), 1:2 ვიკეირა (73), 1:3 კალე (77პ)

**სპორტინგი 2:0 კასტელონი**
1:0 კალანდრია (68), 2:0 ხორხე (74)

**ვალიადოლიდი 1:0 ალმერია**
1:0 მაარიო (89)

**ეიბარი 1:3 რეალი B**
0:1 ანხელო (32), 1:1 მანოლო (51) 1:2 ხ. გარსია (60), 1:3 დე ლა რედი (85)

**ლორკა 1:0 მალაგა B**
1:0 აგილარი (71)

**ელჩე 1:1 მურსია**
0:1 ივანი (6), 1:1 ნინო (20)

**სიუდადი 2:6 ხერესი**
0:1 პენდინი (5პ), 0:2 რიოსი (8), 1:2 ლუკე (22პ), 1:3 გრანერო (38), 1:4 რიოსი (53), 2:4 პიტი (63), 2:5 პენდინი (80), 2:6 ისმაელი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:8 | 16 |
| ტენერიფე | 7 | 5 | 0 | 2 | 13:10 | 15 |
| მურსია | 7 | 4 | 2 | 1 | 8:3 | 14 |
| უელვა | 7 | 4 | 1 | 2 | 13:9 | 13 |
| ვალიადოლიდი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:9 | 13 |
| სპორტინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| ერკულესი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| ლევანტე | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| ალბასეტე | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| სიუდად მურსია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:10 | 11 |
| ალმერია | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 10 |
| ლორკა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 |
| ელჩე | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 10 |
| პოლი ეხიდო | 7 | 3 | 0 | 4 | 8:11 | 9 |
| ხიმნასტიკი | 7 | 3 | 0 | 4 | 5:10 | 9 |
| ნუმანსია | 7 | 2 | 2 | 3 | 7:13 | 8 |
| ლეიდა | 7 | 2 | 1 | 4 | 9:7 | 7 |
| რეალ B | 7 | 2 | 1 | 4 | 12:11 | 7 |
| მალაგა B | 7 | 1 | 3 | 3 | 6:8 | 6 |
| ფეროლი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:13 | 5 |
| ეიბარი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | 5 |
| კასტელონი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:8 | 4 |

## აშშ

### მეიჯორლიგა. XXXI ტური

ვაშინგტონი — ნიუ იორკი 1:2; კანზასი — ნიუ ინგლანდი 2:2; დალასი - კოლორადო 0:0; ჩიკაგო — კოლუმბუსი 1:2; სან ხოსე — სოლტ ლეიკი 2:2

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ტაში მესის


ლიონელ მესიმ ამ ვარდნით პენალტი მოინადირა

**XVII ტური**
**ბოლივია 1:1 ბრაზილია**
0:1 ჟუნინიო (25), 1:1 კასტილიო (50)
**არგენტინა 2:0 პერუ**
1:0 რიკელმე (82), 2:0 გვადალუპე (90ს.კ)
გაძევება: გუტუსო (78, პერუ)

**არგენტინის** ნაკრების თავკაცმა ხოსე პეკერმანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა. მასპინძლებმა ცოტათი კი იწვალეს, მაგრამ ბურთაობას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ, თანაც გამარჯვება მაინც შეძლეს.

მატჩის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ლიონელ მესის სრულფასოვანი დებიუტი გახლდათ. არგენტინელთა ახალგაზრდა ვარსკვლავი ძირითად შემადგენლობაში პირველად მოხვდა და მშვენიერი შთაბეჭდილებაც დატოვა. მას გულშემატკივრები ძალიან თბილად შეეგებნენ და აპლოდისმენტებიც არ დაიშურეს.

პირველმა ტაიმმა შედარებით უღიმღამოდ და წყნარად ჩაიარა. მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ და მშვიდად ცდილობდნენ გოლის გატანას. ამის შანსი ორჯერ ხუან პაბლო სორინს ჰქონდა, მაგრამ მისმა სახიფათო თავურებმა ერთხელაც ვერ უწია მიზანს.

პერუელებს მთელი მატჩის მანძილზე ორი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ. თავის გამოჩენა ორჯერვე მათ ლიდერ პაულო გერეროს შეეძლო, მაგრამ ბაიერნელმა ჯერ კარს გადააცილა, მერე კი მასპინძელთა მეკარე რობერტო აბონდანსიერის ვერ აჯობა.

აბონდანსიერის კოლეგა ლეაო ბუტრონ გოტუსო ბრწყინვალედ ირჯებოდა. მან რამდენიმე რთული ბურთი გამოაძრო, მაგრამ 78-ე წუთზე მოუსვენარ მესის ველარაფერი მოუხერხა, ფეხებში ჩაუვარდა და პენალტთან ერთად წითელი ბარათიც აიკიდა.

სტუმრებმა მსაჯის გადაწყვეტილება 4 წუთის მანძილზე აპროტესტეს, მაგრამ, ცხადია, ვერაფერს გახდნენ, რის მერეც ხუან რომან რიკელმემ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან შეცვლაზე შესული ერიკ დელგადო ადვილად გააბითურა. ცხადია, ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ არგენტინელები იერიშებს აგრძელებდნენ და დამატებულ წუთებზე მეორეც შეაგდეს — კარლოს ტევესის კროსს პერუელთა მცველმა ლუის გვადალუპემ უიღბლოდ დაუხვედრა ფეხი.

ლიონელ მესი: „ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. ამგვარ დახვედრას ვერც კი წარმოვიდგენდი. დიდი მადლობა ყველას".

„ჩვენ კიდევ საკმარისი პოტენციალი გვაქვს და მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ, რომ შესაძლებლობები სრულად გამოვავლინოთ. ძალიან მიხარია, რომ შესარჩევი ციკლის ბოლო საშინაო მატჩი მოვიგეთ" — თქვა არგენტინელთა თავკაცმა ხოსე პეკერმანმა.

ამასობაში ფეხი დაუცდა ბრაზილიას. მართალია, პენტაკამპიონებმა, არგენტინის დარად, საკმაო ხნის წინ გაინაღდეს მუნდიალის საგზური, მაგრამ მათი მთავარი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა გაიძახოდა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, არგენტინელებს უნდა გადავასწროთო. ახლა კი ფაქტობრივად გადაწყდა, რომ შესარჩევ ციკლში პირველობა პატაგონიელებს დარჩებათ.

ექსპერიმენტული გახლდათ ბრაზილიელთა შემადგენლობაც. მიუხედავად ამისა, მათ აქტიურად დაიწყეს და მალევე დაწინაურდნენ. ჯარიმების ოსტატმა ჟუნინიო პერნამბუკანომ მორიგი პატარა შედევრი დადგა. თუმც ამის შემდეგ მასპინძლები დაფაცურდნენ და უპირატესობაც ნელ-ნელა იგდეს ხელთ.

ბოლივიელებმა ანგარიში მეორე ტაიმის დებიუტშივე გაათანაბრეს. ეს ყუმბარისებური დარტყმით ხოსე ალფრედო კასტილიომ გააკეთა, რომელმაც დიდას არყოფნაში ბრაზილიელთა კარში ჩამდგარი ჟულიო სეზარი უშანსოდ დატოვა.

გოლმა მასპინძლები კიდევ უფრო გაახალისა და მათ მოგების კარგი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ მომენტები გაანიავეს.

„რა თქმა უნდა, შედეგით უკმაყოფილო ვარ, უკეთ უნდა გეთამაშა, თუმც მინდა ჟულიო სეზარი და ჟუნინიო შევაქო. მათ მშვენივრად ითამაშეს. სასიამოვნოა, როდესაც ასეთი რეზერვი გყავს და გუნდში ამგვარი კონკურენციაა" — განაცხადა კარლოს ალბერტო პარეირამ.

ბოლო ტურში ბრაზილია ვენესუელას უმასპინძლებს, არგენტინა კი ურუგვაის ესტუმრება, ხოლო აუტსაიდერები — პერუ და ბოლივია — ერთმანეთს შეხვდებიან.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 17 | 10 | 4 | 3 | 29:16 | 34 |
| ბრაზილია | 17 | 8 | 7 | 2 | 32:17 | 31 |
| პარაგვაი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:22 | 28 |
| ეკვადორი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:19 | 27 |
| ურუგვაი | 17 | 5 | 7 | 5 | 22:28 | 22 |
| კოლუმბია | 17 | 5 | 5 | 6 | 23:16 | 21 |
| ჩილე | 17 | 5 | 6 | 6 | 18:22 | 21 |
| ვენესუელა | 17 | 5 | 3 | 9 | 20:25 | 18 |
| პერუ | 17. | 3 | 6 | 8 | 16:27 | 15 |
| ბოლივია | 17 | 4 | 2 | 11 | 19:33 | 14 |

# გამზრდელი წავიდა

**„მანჩესტერში"** სიახლე ის არის რომ კლუბის რეზერვისტთა მწვრთნელი რიკი სბრაგია ბოლტონში გადავიდა და პირველი გუნდის მწვრთნელად, რაც მენეჯერ სემ ალარდაისის მარჯვენა ხელობას ნიშნავს. 49 წლის სქოთმა ოთხწელიწადში 4 თასი მოაპოვებინა მანჩესტერის რეზერვისტებს.

ამით ალარდაისმა გიახარა, „მანჩესტერისთვის" კი ეს იმას ნიშნავს, რომ კლუბის 19-წლამდელთა მწვრთნელი და ძველი სახელოვანი მოთამაშე ბრაიან მაკლარი რეზერვისტებს ჩაუდგება სათავეში.

სბრაგიას წასვლის მიზეზი ის ყოფილა, რომ სერ ალექს რეზერვის ბევრი ჭაბუკი სხვა კლუბებში გაუნათხოვრებია და ამით გუნდის სიძლიერე დაქვეითებულა, რის გამოც მწვრთნელს საინტერესო სამსახურის ძებნა დაუწყია.

აღვნიშნოთ, რომ სბრაგიას გაზრდილები არიან დარენ ფლეტჩერი და კირან რიჩარდსონი, რომლებიც ახლა „მანჩესტერის" ძირითად გუნდში ბურთაობენ.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ბერნაბეუდან უდაბნოში

**„რეალში"** მალე რობერტო კარლოსის შემცვლელზე იფიქრებენ. იქაური „მარკას" ინფორმაციით, ბრაზილიელმა მავანი ყატარული კლუბიდან სარფიანი შემოთავაზება მიილო. ამბობენ, გარემარბს არაბები სამწლიან კონტრაქტზე ხელის მოწერის შემთხვევაში 21 მილიონ ევროს მისცემენ — ფლორენტინო პერესის გუნდს კი კარლოსით დაინტერესებული აღმოსავლური გუნდი 12 მილიონ ევროს გადაუხდის.

თავად „რეალის" თავკაცობას მადრიდულ გრანდში არსენალელი ეშლი კოულის მიყვანა უნდა.

„მართალია, ამჟამად ფლორენტინო პერესი და მისი შტაბი კარლოსთან სწრაფად დამშვიდობებაზე არ ფიქრობს მაგრამ არაა გამორიცხული, ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე რობერტო ყატარში გადავიდეს" — ეწერა გუშინდელ „მარკაში".

**ლადო ხომერიკი**

# ლარსონს ბარსადან წასვლა არ უნდა

**„ბარსელონას"** შვედი ვარსკვლავის ჰენრიკ ლარსონის წარმომადგენელმა რობ იანსენმა თანამემამულე „ექსპრესენთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი კლიენტი უახლოეს მომავალში კატალონიური „კამპ ნოუს" დატოვებას არ აპირებს.

„მიუხედავად იმისა, რომ დორტმუნდის „ბორუსია" ლარსონის იჯარით გადაყვანით არის დაინტერესებული, იგი „ბარსადან" წასვლას არ გეგმავს" — განაცხადა იანსენმა მედიასთან საუბრისას.




ლარსონის დორტმუნდში გადაბარგებაზე გერმანულმა და შვედური გაზეთებმა რამდენიმე დღის წინ დაწერეს. ბორუსიაში დღეს დამრიგებლად ბერტ ვან მარვიიკია, „ბარსაში" ჰენრიკის თანაგუნდელ მარკ ვან ბომელის სიმამრი.

შვედური „აფტონბლადეტის" ცნობით, ლარსონი ესპანურ გრანდში სათადარიგოდ ყოფნით უკმაყოფილოა და გერმანულ მინდვრებზე გადასვლაც ოცნებად ჰქონია. თუმცა... „ბარსაში" მოხვედრა ჩემი ცხოვრების ოცნება იყო. ვამაყობ ამ გუნდში ბურთაობით და არსად წასვლას არ ვაპირებ" — უთქვამს თავად სკანდინაველ ფორვარდს.

**ლადო ხომერიკი**

# ზაიცი გაუშვეს



**„პორტსმუტმა"** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ შარშან დიდი ამბით დანიშნული პასუხისმგებელი დირექტორიველიმირ ზაიცი, თანამდებობიდან გადადგა.

მიზეზები კერძოა, ანუ ზაიცის მუშაობით უკმაყოფილონი იყვნენ.

კლუბის პატრონმა მილან მანდარიჩმა თქვა: „უსიამოვნო ამბავია, მაგრამ რას ვიზამთ. მის პირად მიზეზებს პატივი უნდა ვცეთ. შარშან რომ მოვიდა, ერთხან მენეჯერობასაც სწვდა, რახან ჰარი რედნაპი წავიდა. მან რთულ პერიოდში მიხედა გუნდს და მადლიერი ვარ".

ზაიცის დირექტორად დანიშვნა შარშან ერთი სკანდალური იყო. მას კლუბის მართვა და სკაუტობა ევალებოდა, მენეჯერი შეიქნა. თუმცა, ეს როლი ვერ მოირგო. ისრაელის ნაკრების ფეხბურთელი ეიალ ბერკოვიჩი ამბობდა, გუნდი მაგის გულისთვის მივატოვეო, ხოლო მეკარე შაკა ჰისლოპი აცხადებდა, დამამცირაო. მერე მენეჯერად ფრანგი ალენ პერენი მოიყვანეს და ზაიცი დირექტორობას დაუბრუნდა და საფეხბურთო აკადემიაც გახსნა.

წასვლის მიზეზის გამო მან თქვა: „ეს ძალიან პირადია და ჯობს ჩემში დარჩეს. „პორტსმუტი" მომწონს და მეყვარება".

**ირაკლი გამყრელიძე**

## სამხრეთული სამშაბათი



დანიელ ბილოშმა პირველი გოლი ამ თავურით გაიტანა

# ბოკა ხუნიორსის არგენტინა

## არგენტინა

**აპერტურა. X ტური**

**ესტუდიანტესი 2:0 ბანფილდი**
1:0 კალდერონი (42პ), 2:0 მასერაკესი (73პ)
გაძევება: ბარასა, ბარიონუევო (71, 86, ბანფილდი)

**ველესი 2:1 კოლონი**
1:0 ცენტურიონი (8), 2:0 გრასიანი (19), 2:1 ფაბიანესი (33)

**ლანუსი 1:0 რასინგი**
1:0 გრაფი (24)

**ბოკა ხუნიორსი 2:1 ტირო ფედერალი**
1:0 ბილოში (48), 1:1 კამპორა (51), 2:1 ბილოში (64)

**ოლიმპო 2:1 რივერ პლეიტი**
1:0, 2:0 რამირესი (12, 59), 2:1 ფალკაო (64)

**ინდეპენდიენტე 2:0 ნიუელსი**
1:0, 2:0 აგერო (34, 74)

**სან ლორენსო 1:3 ხუნიორსი**
1:0 პერონი (18), 1:1, 1:2 კარარიო (49, 62), 1:3 პისკულიჩი (69პ)

**როსარიო 2:1 კილმესი**
1:0 ვილია (35), 2:0 რუბენი (38), 2:1 ჩოი (46)

**ინსტიტუტო 0:1 ხიმნასია ლპ**
0:1 ვარგასი (74)
გაძევება: დიეგო ერნერი (85, ხიმნასია ლპ), ჩაპრია (90, ინსტიტუტო)

**ხიმნასია ხ 1:1 არსენალი**
0:1 ესმერადო (8), 1:1 ოიოლა (24)

**არგენტინის** ჩემპიონატში ალფიო ბაზილეს „ბოკა ხუნიორსის“ ფიესტა გრძელდება. ოთხშაბათს „ლა ბონბონერას“ ჩაუქებმა წყალწაღებულ „ტირო ფედერალს“ უმასპინძლეს და, მომხვდურთა თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, 2005-ის აპერტურაში მიჯრით მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს. ადგილობრივთაგან გოლები დანიელ ბილოშმა შეყარა, ხოლო „ტიროს“ ცალუღელა გატანილი ბურთის ავტორი ხავიერ კამპორა გახლდათ.

მატჩი ცოტა უცნაურად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ „ბოკა“ დღეს ცხრილის სათავეშია, ხოლო „ტირო ფედერალი“ უნუგეშო აუტსაიდერი, თამაშის პირველ წუთებში გუნდებს შორის დიდ განსხვავებას ვერ აღმოაჩენდით. ბაზილეს შეგირდები რაღაც დაბნეულები ჩანდნენ, რითაც მეტოქემ ისარგებლა და შესვენებამდე კარი მშრალად შეინახა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა ხორხე სოლარის გუნდს სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ შეუტიეს — 37-ე წუთზე მარტინ პალერმო ხორხე ვივალდოსთან პირისპირ გავიდა, თუმც მეტოქის გოლკიპერმა ადგილობრივი ფორვარდის დარტყმა უკუაგდო. ეტყობა, მერე, ტაიმთაშორისის დროს, ბაზილემ თავისი ბიჭები სათანადოდ დამოძღვრა და შეხვედრის მეორე ნახევარში „ბოკას“ მოიერიშეებიც მეტოქეს შეესივნენ.

როდრიგო პალასიომ ვივალდოს რაღაც სასწაულით ვერ გაუტანა, თუმც ორიოდ წუთში მასპინძლებმა სწრაფი კომბინაცია გაათამაშეს და დანიელ ბილოშის ზუსტი თავურის წინაშე აქამდე უშეცდომოდ მოხტუნავე მეკარე უძლური აღმოჩნდა... 52-ეზე კამპორამ ანგარიში გაათანაბრა — ერნან ბუხანის მოწოდებულ კუთხურს მანაც თავური დაჰკრა და სოლარის შეგირდებმაც დროებითი ფრე იზეიმეს.

ცხადია, ეს „ბოკას“ ხელს არ აძლევდა და ოფლში გაღვრილ ვივალდოს პრაქტიკულად არ შეუსვენია. პალერმო, კრუპოვიესა, ბილოში „ტიროს“ მისადგომებს პერიოდულად აწიოკებდნენ. 65-ე წუთზე ინსუას პასის მერე დანიელ ბილოშმა მასზე მიჩენილი ლეანდრო ალვარესი დაჩაგრა და სტუმართა გოლკიპერს მეორე გოლი შეუგდო.

„ახლა ჩემპიონატში ღირსეული გუნდი ლიდერობს. „ბოკა“ ყველა მატჩს ისე ჩაატარებს, როგორც ფინალს და ჩემპიონებიც ჩვენ გავხდებით“ — ამაყად განუცხადა მატჩის მერე სენიორ ბაზილემ იქაურ მედიას.

მეორე არგენტინულ გრანდს, „რივერ პლეიტს“ კი საზეიმო და საამაყო არაფერი აქვს. რეინალდო მერლოს გუნდმა წინა შეხვედრაში „ინდეპენდიენტეს“ დაჩოქება კი შეძლო, მაგრამ აპერტურას მეათე ტურში კერკეტ „ოლიმპოს“ გადაეყრა და 2:1 დამარცხდა.

სულ 12 წუთი დასჭირდა ოლიმპოელ რამირესს „მილიონერთა“ დაცვის შესამუსრავად — რამდენიმე სწრაფი იერიშის მერე მასპინძლების ფორვარდმა დიასის შესანიშნავი პასით ისარგებლა და ტაბლოზეც 1:0 აინთო. მეორე გოლიც დავიდ რამირესის ანგარიშზეა, 59-ე წუთზე ტალამონტის გაბრიყვების მერე მან „ოლიმპოს“ ინჩასები კიდევ ერთხელ გაახარა.

ერთადერთი, რაც შეიძლება „რივერის“ ნუგეშად ჩაითვალოს, კოლუმბიელი რადამელ ფალკაო გარსიაა, „მილიონერთა“ ნორჩი ვარსკვლავია. ფალკაომ „ინდეპენდიენტესთან“ გასულ ჯახშიც ივარგა, „ოლიმპოსთანაც“ ლამაზი ბურთი შეაგდო, თუმც მისი თავდადება საკმარისი არ აღმოჩნდა. 13 თამაშია „რივერ პლეიტს“ სტუმრად არ გაუმარჯვია. დღეს მერლოს ბიჭები 13 ქულით ცხრილის მეთორმეტე ადგილზე გაჭედილან და მომავალ ტურში მარადიულ მტერთან, „ბოკა ხუნიორსთან“ შერკინებასაც საკმაოდ დაძაბულნი შეხვდებიან.

რახან არგენტინელთა სუპერკლასიკო ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ლეგენდარული დიეგო მარადონა, „ბოკას“ ვიცე-პრეზიდენტი „მონუმენტალის“ ჯახს არ დაესწრება.

„სანამ „რივერ პლეიტის“ თავკაცობა ჩემი ლანძღვა-გინებისთვის ბოდიშს არ მოიხდის, იმათ სტადიონზე არ მივალ. არასოდეს დამავიწყდება, ენცო ფრანჩესკოლის გამოსათხოვარ მატჩზე რომ არ დამპატიჟეს“ — აღნიშნა დიეგომ.

„არგენტინოს ხუნიორსმა“ სტუმრად „სან ლორენსო“ გაანადგურა და აპერტურას მეორე ადგილიც ჩაიბარა.

5 სექტემბერს „პედრო ბიდეგაინის“ არენაზე ყველაფერი დამხვდურთა სასარგებლოდ დაიწყო და ერნან პერონეს პირველი გოლის მერე „ხუნიორსის“ ტრიუმფს ალბათ ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა. თუმც სილვიო კარარიომ ორი ბურთი გაიტანა, ხოლო 70-ე წუთზე ლეანდრო პისკულიჩიმ პენალტი შეაგდო და „სან ლორენსოს“ იმედებიც დასამარდა.

„როსარიო სენტრალი“ აპერტურაში ცუდი დებიუტის შემდეგ ნელნელა გონზე მოდის — არიელ რუსოს ბიჭებმა „კილმესი“ დაამარცხეს ანგარიშით 2:1. „როსარიოს“ მხრიდან ემანუელ ვილიამ და მარკო რუბენმა იხეირეს, მოწინააღმდეგემ კი ერთი ბურთის გაქვითვა ურუგვაელი ჩოი გონსალესის მარჯვე დარტყმის მერე მოახერხა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 10 | 7 | 2 | 1 | 23:8 | 23 |
| არგ. ხუნიორსი | 10 | 6 | 3 | 1 | 11:5 | 21 |
| ველეს სარსფილდი | 10 | 6 | 2 | 2 | 15:6 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 10 | 5 | 3 | 2 | 18:11 | 18 |
| ბანფილდი | 10 | 4 | 5 | 1 | 12:7 | 17 |
| სან ლორენსო | 10 | 4 | 4 | 2 | 16:13 | 16 |
| ესტუდიანტესი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:9 | 16 |
| ხიმნასია ლა პლატა | 10 | 5 | 1 | 4 | 11:12 | 16 |
| ოლიმპო | 10 | 3 | 6 | 1 | 11:9 | 15 |
| როსარიო | 10 | 4 | 3 | 3 | 13:14 | 15 |
| არსენალი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:10 | 14 |
| რივერ პლეიტი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:13 | 13 |
| რასინგი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:13 | 11 |
| ლანუსი | 10 | 2 | 5 | 3 | 10:15 | 11 |
| კილმესი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:15 | 10 |
| ოლდ ბოისი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:17 | 9 |
| ხიმნასია დე ხუხუი | 10 | 1 | 5 | 4 | 11:15 | 8 |
| ინსტიტუტო | 10 | 1 | 5 | 4 | 3:9 | 8 |
| კოლონი | 10 | 1 | 3 | 6 | 12:20 | 6 |
| ტირო ფედერალი | 10 | 0 | 1 | 9 | 6:17 | 1 |

ლადო ხომერიკი

# რიკარდინიოს სამომავლო ევროპა

**29 წლის** ბრაზილიელი რიკარდინიო, „სანტოსის“ ნახევარმცველი, ზამთრის სატრანსფერო ბაზრის შემდეგ კარიერას სავარაუდოდ ან მადრიდის „რეალში“ ან იტალიურ „მილანში“ გააგრძელებს. ფეხბურთელმა თავის ამჟამინდელ კლუბის უფროსობას კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი განუცხადა.

ბრაზილიური მედიის ცნობით, რიკარდინიო დეკემბერში თავისუფალი აგენტი გახდება და აპენინური და ესპანური გრანდები მასზე გადამწყვეტ ნადირობას მაშინ გამართავენ.

„მილანის“ თავკაცობას იქაურმა ოკეანისგაღმელებმა — დიდამ, კაფუმ და კაკამ — უკვე რამდენჯერმე სთხოვეს თანამემამულის შემომატება. რაც შეეხება „რეალს“, იქ, მოგეხსენებათ, ვანდერლეი ლუშემბურგო მწვრთნელობს, სპეციალისტი, რომელიც თავის დროზე სხვადასხვა კლუბებში რიკარდინიოს დამრიგებელი იყო.

„ჯერჯერობით არ ვიცი, სამომავლოდ რომელ კლუბში ვითამაშებ. შეიძლება უპირატესობა უფრო „რეალს“ მივანიჭო, რადგან ლუშემბურგო ჩემი დიდი ხნის ნაცნობია. საერთოდ, ევროპულ ლიგაში გადასვლის პერსპექტივა ძალიან მომხიბვლელია. „სანტოსში“ ალბათ არ დავრჩები, აქაურებთან კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე ვერ შევთანხმდით“ — თქვა თავად რიკარდინიომ „ო დიასთან“ საუბარში.



რიკარდინიო „სანტოსის“ დატოვებას აპირებს

# ესკობარის მკვლელი გაათავისუფლეს

**თავის დროზე**, 1994 წელს, ანდრეს ესკობარის მკვლელს სასამართლომ 40 წლით პატიმრობა მიუსაჯა. გახსოვთ ალბათ, ამერიკის მუნდიალზე საკუთარ კარში გატანილი გოლის გამო კოლუმბიის ნაკრების უიღბლო უკანახაზელი მედელინის ერთ-ერთ ბარში რამდენიმე გასროლით გამოასალმეს სიცოცხლეს. მკვლელი უმბერტო მუნიოს კასტრო გახლდათ.

როგორც მაშინ ამბობდნენ, ღამის ბარში შესულ ესკობარს კასტრო მიუახლოვდა და ლანძღვაგინება დაუწყო. ფეხბურთელმაც ცხარედ უპასუხა და მაშინ საქმეში ბოროტმოქმედის რევოლვერი ჩაერთო... გუშინ კი კოლუმბიურმა მართლმსაჯულებამ უმბერტო მუნიოს კასტრო „ციხეში სანიმუშო საქციელისთვის“ შეიწყალა და პატიმრობიდან გაათავისუფლა.ამრიგად, 40-ის ნაცვლად მკვლელმა გისოსებს მიღმა ოდენ 11 წელი დაყო.



ანდრეს ესკობარი

„ეს საზიზღრობაა. გული მერევა, როცა კოლუმბიის სასამართლოს გადაწყვეტილებას ვიხსენებ. ახლა ვხვდები, რომ ამ ქვეყანაში დანაშაული დაუსჯელი რჩება“ — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში გარდაცვლილი ფეხბურთელის მამამ.

კოლუმბიური მედიის ცნობით, უფროს ესკობარს მოქალაქეობის შეცვლა და ოჯახითურთ საცხოვრებლად საზღვარგარეთ წასვლა გადაუწყვეტია.

# მეჯლანე ედინიო

**ლეგენდარული** პელეს ვაჟს, ედინიოს, სან პაულოს ციხეში იქაურ ავტორიტეტებთან უსიამოვნებანი შეემთხვა და ბრაზილიურმა პოლიციამ კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით „სანტოსის“ 35 წლის ექსმეკარე სხვა ადგილზე გადაიყვანა.

ფეხბურთის მეფის შვილი ახალ ადგილზე შედარებით უსაფრთხოდ იქნება და თავსაც ასე თუ ისე გაირთობს. გაზეთების ცნობით, იგი თანამესაკნეებთან ერთად ციხის ტერიტორიაზე არსებულ ფეხსაცმლის ფაბრიკაში იმუშავებს...

შეგახსენებთ, რომ ედინიო სან პაულოს პოლიციამ 6 ივნისს ნარკომაფიასთან კავშირის გამო დააკავა. აქამდე მკაცრი რეჟიმის ციხეში იყო, სასეირნოდ მარტო ერთი საათით უშვებდნენ და იმ მცირე დროშიც ავტორიტეტებთან ურთიერთობის გაფუჭება მოახერხა...

# ბიჭები ბაიერნის ბუდიდან
## შოკოლადზე გაზრდილი მეომარი

*მიუნხენის „ბაიერნისთვის" საუკეთესო წლებშიც კი კლუბს ერთ რამეს უწუნებდნენ — „აიაქსისა" და „მანჩესტერ იუნიატედის" მსგავსად, მიუნხენელებს საკუთარ ბუდეში დაფრთიანებული" ფეხბურთელები არ ჰყავდათ.*

*„ბაიერნის" პოლიტიკა სხვაგვარია. ისინი უკვე დაღვინებულ მოთამაშეებს ყიდულობენ და მათგან „ვარსკვლავებს" ქმნიან. თავის დროზე ეს გზა გაიარეს შტეფან ეფენბერგმა, ბიქსენტ ლიზარაზუმ, ვილი სანიოლმა, მიხაელ ტარნატმა, ჯოვანი ელბერმა, კარსტენ ინკერმა და სხვებმა.*

*„პირველი მერცხალი", რომელმაც ტრადიცია დაარღვია კანადაში დაბადებული ინგლისელი, ოუენ ჰარგრივსი გახდა. ჰარგრივსი ოტმარ ჰიცფელდის ჯილა იყო, თუმც გუნდის ქომაგები და ფეხბურთის გერმანელი მცოდნენი ინგლისელს ალმაცერად უყურებდნენ. ზოგი იმასაც ამბობდა, არ გვინდა ექსპერიმენტი, ნაცად ხერხს მივმართოთ, ანუ დაღვინებული მოთამაშეები შევიძინოთო.*

*ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც „ბაიერნის" მოყვარულთა გუნდი გერმან გერლანდმა და ლეგენდარულმა გერდ მიულერმა ჩაიბარეს. გერლანდს გერმანიაში კარგად იცნობენ. არაერთი ბუნდესლიგური კლუბი სთავაზობდა სამუშაოს, მაგრამ „ბაიერნი" არჩია. მისი თქმით, ეს კლუბი კი არა, სახლია და ბედნიერია იმით, რომ ყოველდღე სავარჯიშო ბაზაზე მიდის და კარლ-ჰაინც რუმენიგესთან ერთად ფინჯან ყავას სვამს.*

*მიულერისა და გერნალდის შრომის შედეგად „ბაერნში" აღიზარდნენ მარკუს ფელნერი, პეტრ ტროხოვსკი, კრისტიან ლელი, ზვეზდან მისიმოვიჩი, რომლებმაც მოყვარულებიდან პროფესიონალებამდე გზა გაიარეს და დღეს „ჰამბურგში" „კიოლნში" და „ბოხუმში" თამაშობენ. თუმც „ბაიერნის" აღზრდილთაგან რამდენიმე უკვე სახელგანთქმული, ქომაგებისგან პატივცემული ფეხბურთელია და მათზე ქვემოთ ცალკ-ცალკე მოგითხრობთ*

### ბასტიან შვაინშტაიგერი

18 წლის სებასტიან შვაინშტაიგერი ბუნდესლიგაში სადებიუტო მატჩისას მოედნის კიდესთან რომ გამოჩნდა, ფეხბურთის მოყვარულთ მისი გვარის წაკითხვა და მით უმეტეს, დამახსოვრება გაუჭირდათ. 2002-2003 წლების სეზონის ბოლოს სამ-ოთხ ტურში შეცვლაზე ითამაშა, მაგრამ ბევრით არაფრით გამოირჩა.

ზაფხულში ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში შვაინშტაიგერმა ამბიცია გაამხილა, მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატზე თამაში მსურსო. გერმანიაში ბევრს ღიმილი მოჰგვარა, თუმც დაიწყო 2003-04 წლების ბუნდესლიგა და ახალგაზრდა ფეხბურთელმა სიტყვა საქმით დაამტკიცა. უკვე პოპულარულ სებასტიან დაისლერს, რომელიც უფრო მეტხანს მკურნალობდა, ვიდრე თამაშობდა, მეტსახელი „ბასტი" შვაინშტაიგერმა წაართვა. ყველა კომპონენტში მოუმატა და მედიაში მას ხშირ-ხშირად ახსენებდნენ. ოტმარ ჰიცფელდმა მაინც ვერ გარისკა და მეტწილად შეცვლაზე ათამაშებდა. თუმც ბასტიანი მებრძოლი ხასიათით გამოირჩევა, რის გამოც შტეფან ეფენბერგს ადარებდნენ.

„ბაიერნის" ნიჭიერი ფეხბურთელის პროგრესი აშკარა იყო, რაც ნაკრების მწვრთნელ რუდი ფიოლერს არ გამოჰპარვია და შვაინშტაიგერის ოცნება, ეთამაშა ნაკრებში, ახდა. ევრო 2004-ის პირველივე მატჩში ჰოლანდიასთან მან ეროვნული გუნდის მაისურა მოირგო.

მისი აღმასვლა შარშანდელი ზაფხულიდან დაიწყო. გასული სეზონის მეორე ნახევარში ბასტიან შვაინშტაიგერი ფელიქს მაგათის „ბაიერნის" ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახდა, ნაკრებში კი მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზეც ივარგა, რაც კონფედერაციათა თასის გათამაშებაზეც გამოჩნდა.

თვითონ ფეხბურთელის აზრით, ჯერ ბევრი რამ აქვს დასახვეწი. „მოთმინებით და შრომით ყველაფერს მიაღწევ" — თქვა შვაინშტაიგერმა, რომელსაც დიდი შანსი აქვს, რომ ოდესღაც მათეუსის, ჰესლერისა და ეფენბერგის გვერდით მისი გვარიც ახსენონ.

### პაულო გერერო

ბასტიან შვაინშტაიგერისგან განსხვავებით, პერუელ ფორვარდს პაულო გერეროს შარშან ზაფხულს „ბაიერნის" მოყვარულებიდან პირდაპირ მთავარ გუნდში უკრეს თავი.

**LA GUERRA** ესპანურად ომს ნიშნავს და გერერო, რომელსაც ერთი წლის წინ არავინ იცნობდა, საკუთარ თავს „მეომარს" უწოდებს. მას შესახებ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ გერმანიის სამხრეთ რეგიონალლიგაში, „ბაიერნის" მოყვარულთა გუნდში ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

„ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში პირველივე მატჩში, „იუვენტუსთან", ბურთთან პირველივე შეხებით როი მაკაის ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შეუქმნა. შემდეგ გერმანიის ჩემპიონატში, „ჰანოვერთან", შეცვლაზე შესულმა პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა.

პირველი წრის გასრულებამდე ყოველ ტურში 20-20 წუთზე მეტს არ ათამაშებდნენ, მაგრამ მან იხსნა მარცხისგან „ბაიერნი" „ბოხუმთან" და „შტუტგარტთან" მატჩებში.

ისე აეწყო, რომ მრავალი წლის განმავლობაში „ბაიერნის" თავდასხმის ხაზი „ერთი მსახიობის თეატრად" იქცა. გულშემატკივრები გაანებივრეს იურგენ კლინსმანმა, ჯოვანი ელბერმა და როი მაკაიმ. შეტევაში მათ მეწყვილეები ყოველთვის ჩრდილში იყვნენ, მაგრამ გერერომ ჩრდილში ყოფნა არ ინება. „ბაიერნის" ქომაგებმა ნახეს ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელსაც ერთი-ორი მცველის გაცურებაც შეუძლია, თავით თამაშიც, პასიც და, რაც მთავარია, გოლის გატანა. ეს ვერ მოახერხეს კლაუდიო პიზაროს და როკე სანტა კრუზმა, მიუხედავად იმისა, რომ გერეროზე მეტი ბაიერნული სტაჟი აქვთ.

პაულო გერერო ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოჩენა პიზაროს ტრავმამ გამოიწვია. იმ მატჩში მიუნხენელთა მეტოქე ლევერკუზენის „ბაიერი" იყო. პერუელ „მეომარს" საუცხოო დებიუტი ჰქონდა — შესვენებამდე პენალტი მოინაგრა, მეორე ტაიმში კი თავად გაიტანა.

„მეომარი" კი დღესაც ომობს ფელიქს მაგათთან ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად. მწვრთნელს ჯერჯერობით მაინც ის ურჩევნია, რომ გერერო შეცვლაზე როგორც „ჯოკერი" ათამაშოს.

გასულ გაზაფხულზე პაულო გერერომ „ჩელსისაც" დაამახსოვრა თავი გოლით, ამ სეზონში კი „ნიურნბერგთან", „აინტრახტთან" და ვენის „რაპიდთან" გასვლით მატჩებშიც გიატანა.

საინტერესოა, რომ „მეომარი" მიუნხენის „ბაიერნის" მოყვარულთა გუნდში თამაშისას გერდ მიულერისგან ყოველ გატანილ გოლზე თითო შოკოლადს იღებდა. პაულო გერერო ტკბილეულის მოყვარული ყოფილა. მიულერის აზრით, პერუელ ფორვარდს განსაკუთრებული საგოლე ალღო აქვს.

### ფილიპ ლამი

თავის დროზე „ბაიერნი" შეცდა, როცა ფილიპ ლამი „შტუტგარტს" ათხოვა და ბიქსენტ ლაზარაზუს შემცვლელად „ვოლფსბურგიდან" ტრობიას რაუ გადაიყვანა. ული ჰიონესმა ვერ შეამჩნია ლამი და კინაღამ დაკარგა ეს ფეხბურთელი.

„შტუტგარტის" მაშინდელი მწვრთნელი და იმავდროულად მენეჯერი ფელიქს მაგათი ყველანაირად ცდილობდა „ბაიერნისგან" ფილიპ ლამის კონტრაქტის გამოსყიდვას, მაგრამ არ გამოუვიდა.

ახალგაზრდა მცველი „შტუტგარტში" მალე დამკვიდრდა. კეტერანი ჰერბერი დაშავდა და მაგათმა მის ადგილზე ლამი გაამწესა. ანდრეას ჰინკელთან ერთად იგი გუნდის დაცვაში შეუცვლელი კაცი გახდა „შტუტგარტმა" იმ სეზონში საუცხოოდ ითამაშა.

ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, თვით „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებაც შეძლო და მერვედფინალშიც გავიდა. სიმკაცრით გამორჩეული, დისციპლინის მოყვარული ფელიქს მაგათი ფეხბურთის ჟინით გაოცებული იყო: „ჩვენი ვარჯიშები ფილიპ ლამისთვის სამოთხეა".

2004-ის დაწყებამდე რუდი ფიოლერმა ფილიპ ლამს უხმო, რამდენიმე ამხანაგურ მატჩში ათამაშა და პორტუგალიაში იახლა. ლამი ერთ-ერთი იყო იმ ფეხბურთელთაგან, რომელთა მისამართითაც მწვრთნელს პრეტენზია არ ჰქონია.

2004 წლის ზაფხულში „შტუტგარტიდან" „ბაიერნში" გადასულ ფელიქს მაგათს ფილიპ ლამის გადაყვანა ეწადა, მაგრამ შტუტგარტელებმა არ გაატანეს და „ბაიერნს" კიდევ ერთი სეზონი ლიზარაზუს შემცვლელის პრობლემა აწუხებდა. ახლა ლამი ისევ ბაიერნელია, მაგრამ ტრავმა ჯერ ბოლომდე ვერ მოუშუშებია.

მიუნხენური გუნდის ფანები ახალგაზრდა მცველის სრულფასოვან დაბრუნებას ელიან. რომელიც 35 წლის ბიქსენტ ლიზარაზუს შემცვლელება. ფრანგი ფეხბურთელისთვის უკვე დაბერდა და ბუცების ჩამოსაკიდებლად ლურსმანს ეძებს.

**მაშა ხუციშვილი**



ბასტიან შვაინშტაიგერი



პაულო გერერო



ფილიპ ლამი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 1 | უიგანი-ნიუკასლი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 2 | ჩელსი-ბოლტონი | 1.25 | 4.70 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.37 |
| 18:00 | 3 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 5.30 | 3.60 | 1.60 | 2.14 | 1.22 | 1.10 |
| 18:00 | 4 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 5 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.65 | 3.40 | 5.30 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| 18:00 | 6 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 20:15 | 7 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 8 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 19:00 | 9 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 10 | ჩარლტონი-ფულემი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 80 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 17:30 | 81 | ლაუტერნი-დორტმუნდი | 2.55 | 3.30 | 2.50 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 17:30 | 82 | არმინია-ჰერტა | 2.95 | 3.30 | 2.20 | 1.55 | 1.26 | 1.32 |
| 17:30 | 83 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 17:30 | 84 | შალკე-ბაიერნი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 85 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.75 | 3.50 | 4.20 | 1.16 | 1.23 | 1.90 |
| 17:30 | 86 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 87 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 19:30 | 88 | კიოლნი-ჰანოვერი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 116 | ადმირა-ტიროლი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 17:30 | 117 | მატერსბურგი-გრაცერი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 17:30 | 118 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 17:30 | 119 | რიდი-აუსტრია | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 17:30 | 120 | შტურმი-პაშინგი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |

### იტალია. სერია A

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 140 | სიენა-უდინეზე | 2.55 | 3.00 | 2.75 | 1.37 | 1.32 | 1.43 |
| 22:30 | 141 | იუვენტუსი-მესინა | 1.20 | 5.30 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.76 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 142 | ლაციო-ფიორენტინა | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| 17:00 | 143 | პალერმო-კიევო | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 17:00 | 144 | პარმა-ტრევიზო | 1.65 | 3.20 | 5.80 | 1.08 | 1.28 | 2.06 |
| 17:00 | 145 | რეჯინა-ლეჩე | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 146 | ასკოლი-სამპდორია | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| 17:00 | 147 | ემპოლი-რომა | 3.60 | 3.10 | 2.05 | 1.66 | 1.30 | 1.23 |
| 17:00 | 148 | ინტერი-ლივორნო | 1.35 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.85 |
| 22:30 | 149 | კალიარი-მილანი | 6.00 | 3.30 | 1.60 | 2.12 | 1.26 | 1.07 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 182 | ალავესი-ვილიარეალი | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 23:45 | 184 | ატლეტიკო-რეალი | 3.40 | 3.10 | 2.10 | 1.62 | 1.29 | 1.25 |
| 22:00 | 187 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.50 | 3.10 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 183 | ბილბაო-სევილია | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 185 | ბეტისი-ხეტაფე | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 21:00 | 186 | ესპანიოლი-კადისი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 188 | მალიორკა-რასინგი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 189 | ოსასუნა-სელტა | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 21:00 | 190 | ვალენსია-მალაგა | 1.45 | 3.80 | 7.30 | 1.04 | 1.20 | 2.49 |
| 19:00 | 191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |

### დანია

### სუპერლიგა

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 352 | ესბიერგი-ოლბორგი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 17:00 | 353 | ჰორსენსი-ნორდსიელანდი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 17:00 | 354 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 17:00 | 355 | ოდენსე-ორჰუსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 17:00 | 356 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 17:00 | 357 | სიონდერიისკე-ბრიონდბიუ | 5.80 | 3.70 | 1.55 | 2.25 | 1.22 | 1.09 |

### ნორვეგია

### ტიპელიგა

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 366 | სტარტი-ალესუნდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 367 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 20:00 | 368 | ლინი-ტრომსიო | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| 20:00 | 369 | ოდ გრენლანდი-ჰამარი | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 20:00 | 370 | ფრედრიკსტადი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 22:05 | 371 | რუსენბორგი-ბრანი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 372 | ლილესტრომი-ბოდიო გლიმტი | 1.70 | 3.60 | 4.50 | 1.15 | 1.23 | 2.00 |

### აშშ

**12 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 421 | სოლტ ლეიკი-კოლორადო | 2.90 | 3.00 | 2.25 | 1.47 | 1.26 | 1.28 |

## ბრაზილია

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 447 | ფლამენგო-ატლეტიკო მნ | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 23:45 | 448 | სან კაეტანო-ინტერნასიონალი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 23:45 | 449 | სან პაულუ-პონტე პრეტა | 1.45 | 3.90 | 5.30 | 1.05 | 1.13 | 2.24 |
| 23:45 | 450 | ატლეტიკო პრ-ბრაზილიენსე | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |

## მჩ. შესარჩევი მატჩები

### 12 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 481 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 482 | ანდორა-სომხეთი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 21:30 | 483 | ფინეთი-ჩეხეთი | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 20:00 | 485 | ალბანეთი-თურქეთი | 9.50 | 5.00 | 1.25 | 3.27 | 1.10 | 1.00 |
| 20:00 | 486 | ყაზახეთი-დანია | 15.00 | 7.00 | 1.10 | 4.77 | 1.02 | 1.00 |
| 21:00 | 487 | მალტა-ბულგარეთი | 10.00 | 5.00 | 1.20 | 3.33 | 1.07 | 1.00 |
| 21:30 | 488 | შვედეთი-ისლანდია | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 21:30 | 489 | უნგრეთი-ხორვატია | 3.10 | 3.10 | 2.15 | 1.54 | 1.26 | 1.26 |
| 21:30 | 490 | პოლანდია-მაკედონია | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 22:15 | 491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 12.00 | 5.00 | 1.20 | 3.52 | 1.09 | 1.00 |
| 22:30 | 492 | პორტუგალია-ლატვია | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 22:30 | 493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:30 | 494 | იტალია-მოლდოვა | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 22:30 | 495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.80 | 3.50 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 22:30 | 496 | ბელარუსი-ნორვეგია | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:30 | 497 | სერბეთი-ბოსნია | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 22:30 | 498 | ლიტვა-ბელგია | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 22:30 | 499 | სან მარინო-ესპანეთი | 30.00 | 9.00 | 1.01 | 6.92 | 1.00 | 1.00 |
| 22:30 | 500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.40 | 3.90 | 7.30 | 1.03 | 1.17 | 2.54 |
| 22:45 | 501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 22:45 | 502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 22:45 | 503 | საფრანგეთი-კვიპროსი | 1.02 | 9.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 6.92 |
| 22:45 | 504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 782 | ბრაზილია-ვენესუელა | 1.12 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.33 |
| 23:45 | 783 | პარაგვაი-კოლუმბია | 2.55 | 3.40 | 2.25 | 1.45 | 1.19 | 1.35 |
| 23:45 | 784 | პერუ-ბოლივია | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 23:45 | 785 | ურუგვაი-არგენტინა | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 23:45 | 786 | ჩილე-ეკვადორი | 1.45 | 3.60 | 6.20 | 1.03 | 1.17 | 2.27 |
| 23:45 | 787 | აშშ-პანამა | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 23:45 | 788 | გვატემალა-კოსტა რიკა | 1.65 | 3.60 | 4.00 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| 23:45 | 789 | ტრინიდადი-მექსიკა | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |

## ამხანაგური მატჩები

### 12 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 505 | გერმანია-ჩინეთი | 1.15 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.67 |

## ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12:00 | 506 | ყაზახეთი(21)-დანია(21) | 8.00 | 4.00 | 1.30 | 2.66 | 1.11 | 1.00 |
| 16:30 | 507 | ალბანეთი(21)-თურქეთი(21) | 3.80 | 3.30 | 1.75 | 1.76 | 1.19 | 1.14 |
| 17:00 | 509 | სერბეთი(21)-ბოსნია(21) | 1.25 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 2.88 |
| 17:00 | 510 | სან მარინო(21)-ესპანეთი(21) | 25.00 | 9.00 | 1.02 | 6.61 | 1.00 | 1.00 |
| 19:00 | 512 | ფინეთი(21)-ჩეხეთი(21) | 6.50 | 3.80 | 1.40 | 2.39 | 1.15 | 1.02 |
| 20:00 | 513 | იტალია(21)-მოლდოვა(21) | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 20:00 | 515 | სლოვენია(21)-შოტლანდია(21) | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:30 | 517 | შვედეთი(21)-ისლანდია(21) | 1.20 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.05 |
| 21:00 | 518 | მალტა(21)-ბულგარეთი(21) | 5.00 | 3.40 | 1.55 | 2.02 | 1.18 | 1.06 |
| 21:30 | 519 | პოლანდია(21)-მაკედონია(21) | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 21:30 | 520 | ლუქსემბურგი(21)-ესტონეთი(21) | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| 22:15 | 521 | ავსტრია(21)-გერმანია(21) | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 22:45 | 522 | საფრანგეთი(21)-კვიპროსი(21) | 1.02 | 9.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.61 |
| 22:45 | 524 | უელსი(21)-აზერბაიჯანი(21) | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 23:00 | 525 | ინგლისი(21)-პოლონეთი(21) | 1.50 | 3.50 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 23:45 | 526 | პორტუგალია(21)-ლატვია(21) | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |

### 12 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 527 | სლოვაკეთი(21)-რუსეთი(21) | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |

## ჰოკეი. NHL

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 609 | მონრეალი-ოტავა | 2.10 | 4.00 | 2.15 | 1.37 | 1.06 | 1.39 |
| 23:45 | 610 | ტორონტო-ფილადელფია | 2.25 | 4.00 | 2.00 | 1.44 | 1.05 | 1.33 |
| 23:45 | 612 | სტ.ლუისი-ჩიკაგო | 2.10 | 4.00 | 2.25 | 1.37 | 1.08 | 1.44 |
| 23:45 | 613 | დალასი-ფენიქსი | 1.85 | 4.00 | 2.50 | 1.26 | 1.06 | 1.53 |
| 23:45 | 614 | ლოს ანჯელესი-ედმონტონი | 1.95 | 4.00 | 2.50 | 1.31 | 1.09 | 1.53 |

## ჰოკეი
## შვედეთი

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 651 | ფერიესტადი-იურგორდენი | 1.30 | 4.50 | 4.60 | 1.00 | 1.01 | 2.27 |
| 21:00 | 652 | სიოდერტელიე-ლულეო | 1.95 | 4.20 | 2.30 | 1.33 | 1.05 | 1.48 |
| 21:00 | 653 | ჰვ 71-ლინჩიოპინგი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |

## ჰოკეი. ჩეხეთი

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 685 | ზლინი-პარდუბიცე | 1.95 | 4.00 | 2.40 | 1.31 | 1.07 | 1.50 |
| 19:00 | 686 | ვიტკოვიცე-ტრჟინეცი | 1.70 | 4.10 | 2.70 | 1.20 | 1.04 | 1.62 |
| 19:30 | 687 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 2.05 | 4.00 | 2.40 | 1.35 | 1.10 | 1.50 |
| 19:30 | 688 | პლზენი-კლადნო | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 19:30 | 689 | კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 1.80 | 4.20 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.60 |
| 20:30 | 690 | ლიბერეცი-ვსეტინი | 1.35 | 4.50 | 4.50 | 1.03 | 1.03 | 2.25 |
| 20:30 | 691 | სპარტა-სლავია | 2.10 | 4.00 | 2.10 | 1.37 | 1.04 | 1.37 |

## ჰოკეისლოვაკეთი

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 707 | მიკულაში-კოშიცე | 2.05 | 4.00 | 2.20 | 1.35 | 1.06 | 1.41 |
| 19:00 | 708 | მარტინი-ჟილინა | 2.25 | 4.00 | 2.05 | 1.44 | 1.07 | 1.35 |
| 19:00 | 709 | ზვოლენი-ნიტრა | 2.00 | 4.00 | 2.40 | 1.33 | 1.09 | 1.50 |
| 19:00 | 710 | სკალიცა-პოპრადი | 2.30 | 4.00 | 1.95 | 1.46 | 1.05 | 1.31 |
| 19:30 | 711 | სლოვანი-ტრენჩინი | 1.65 | 4.00 | 3.10 | 1.16 | 1.07 | 1.74 |

## ჰოკეი. გერმანია

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 722 | ჰამბურგი-კიოლნი | 2.10 | 4.00 | 2.10 | 1.37 | 1.04 | 1.37 |
| 21:30 | 723 | კრეფელდი-აისბარენი | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 21:30 | 781 | ჰანოვერი-ფრანკფურტი | 2.10 | 4.00 | 2.25 | 1.37 | 1.08 | 1.44 |

## ჰოკეი. შვეიცარია

### 11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 780 | დავოსი-ბერნი | 1.90 | 4.00 | 2.40 | 1.28 | 1.06 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 749 | სპარტაკი-აკ | 2.45 | 4.20 | 1.95 | 1.54 | 1.08 | 1.33 |
| 18:30 | 750 | ლოკომოტივი-სევერსტალი | 1.45 | 4.50 | 4.00 | 1.09 | 1.06 | 2.11 |
| 14:30 | 751 | ნოვოკუზნეცკი-მაგნიტოგორსკი | 2.90 | 4.30 | 1.70 | 1.73 | 1.07 | 1.21 |
| 17:30 | 752 | ლადა-მედ | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 16:30 | 753 | მოლოტი-ხიმიკი | 3.20 | 4.30 | 1.65 | 1.83 | 1.08 | 1/19 |
| 15:30 | 754 | სიბირი-დინამო | 3.50 | 4.40 | 1.55 | 1.94 | 1.07 | 1.14 |
| 19:00 | 755 | ცსკა-ავანგარდი | 2.55 | 4.00 | 1.95 | 1.55 | 1.10 | 1.31 |
| 16:30 | 756 | ს.იულაევი-ვიტიაზი | 1.45 | 4.20 | 4.00 | 1.07 | 1.06 | 2.04 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:30 | 757 | აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |

### ჯამი: ლუწი-1ან კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16482 | ანდორა-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 16483 | ფინეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 16485 | ალბანეთი-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 16486 | ყაზახეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 16487 | მალტა-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 16488 | შვედეთი-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 16489 | უნგრეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 16490 | ჰოლანდია-მაკედონია | 1.85 | 1.95 |
| 16491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 16492 | პორტუგალია-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 16493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 16494 | იტალია-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 16495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 16496 | ბელარუსი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 16497 | სერბეთი-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 16498 | ლიტვა-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 16499 | სან მარინო-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 16500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 16501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.85 | 1.95 |
| 16502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 16503 | საფრანგეთი-კვიპროსი | 1.85 | 1.95 |
| 16504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10482 | ანდორა-სომხეთი | 3.90 | 2.10 | 2.15 | 1.36 | 1.38 | 1.06 |
| 10483 | ფინეთი-ჩეხეთი | 5.50 | 2.00 | 1.80 | 1.46 | 1.35 | 1.00 |
| 10485 | ალბანეთი-თურქეთი | 7.00 | 2.10 | 1.55 | 1.61 | 1.26 | 1.00 |
| 10489 | უნგრეთი-ხორვატია | 3.90 | 2.00 | 2.45 | 1.32 | 1.50 | 1.10 |
| 10493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 3.10 | 2.00 | 2.80 | 1.21 | 1.47 | 1.16 |
| 10495 | სლოვენია-შოტლანდია | 2.20 | 2.00 | 4.20 | 1.04 | 1.44 | 1.35 |
| 10496 | ბელარუსი-ნორვეგია | 3.00 | 2.00 | 2.80 | 1.20 | 1.44 | 1.16 |
| 10497 | სერბეთი-ბოსნია | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10498 | ლიტვა-ბელგია | 3.10 | 2.00 | 2.75 | 1.21 | 1.45 | 1.15 |
| 10500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.85 | 2.10 | 6.40 | 1.00 | 1.43 | 1.58 |
| 10501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.50 | 2.40 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 1.84 |
| 10502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.80 | 2.30 | 4.50 | 1.00 | 1.28 | 1.52 |
| 10504 | ირლანდია-შვეიცარია | 2.20 | 2.00 | 4.20 | 1.04 | 1.44 | 1.35 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15482 | ანდორა-სომხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15483 | ფინეთი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15485 | ალბანეთი-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15486 | ყაზახეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15487 | მალტა-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15488 | შვედეთი-ისლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15489 | უნგრეთი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | ჰოლანდია-მაკედონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15492 | პორტუგალია-ლატვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15494 | იტალია-მოლდოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15495 | სლოვენია-შოტლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15496 | ბელარუსი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15497 | სერბეთი-ბოსნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15498 | ლიტვა-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | უელსი-აზერბაიჯანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15502 | ინგლისი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | ირლანდია-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12482 | ანდორა-სომხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12483 | ფინეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12485 | ალბანეთი-თურქეთი | 2.00 | 1.60 |
| 12486 | ყაზახეთი-დანია | 2.10 | 1.50 |
| 12487 | მალტა-ბულგარეთი | 1.90 | 1.70 |
| 12490 | ჰოლანდია-მაკედონია | 2.10 | 1.40 |
| 12491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 2.20 | 1.50 |
| 12492 | პორტუგალია-ლატვია | 2.10 | 1.55 |
| 12493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 12494 | იტალია-მოლდოვა | 2.00 | 1.60 |
| 12495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12496 | ბელარუსი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12497 | სერბეთი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 12498 | ლიტვა-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 12500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.90 | 1.70 |
| 12502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |
| 12503 | საფრანგეთი-კვიპროსი | 1.70 | 1.90 |
| 12504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11482 | ანდორა-სომხეთი | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11483 | ფინეთი-ჩეხეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.95 |
| 11485 | ალბანეთი-თურქეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.60 |
| 11489 | უნგრეთი-ხორვატია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.50 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.50 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11495 | სლოვენია-შოტლანდია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.80 |
| 11496 | ბელარუსი-ნორვეგია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11497 | სერბეთი-ბოსნია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.50 |
| 11498 | ლიტვა-ბელგია | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11504 | ირლანდია-შვეიცარია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13482 | ანდორა-სომხეთი | 1.90 | 1.70 |
| 13483 | ფინეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13485 | ალბანეთი-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13489 | უნგრეთი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13496 | ბელარუსი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13497 | სერბეთი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 13498 | ლიტვა-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 13500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14482 | ანდორა-სომხეთი | 2.10 | 1.40 |
| 14483 | ფინეთი-ჩეხეთი | 2.60 | 1.25 |
| 14485 | ალბანეთი-თურქეთი | 2.60 | 1.25 |
| 14489 | უნგრეთი-ხორვატია | 2.20 | 1.60 |
| 14493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 2.00 | 1.70 |
| 14495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.55 | 2.30 |
| 14496 | ბელარუსი-ნორვეგია | 2.00 | 1.80 |
| 14497 | სერბეთი-ბოსნია | 1.20 | 2.60 |
| 14498 | ლიტვა-ბელგია | 2.00 | 1.80 |
| 14500 | ავსტრია-ჩრდ.ირლანდია | 1.25 | 2.50 |
| 14502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.30 | 2.50 |
| 14504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.60 | 2.30 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ნიკორამ თსუ-ს ხორცი შეასხა

## ქუთაისს ორმა მერმა აწყინა



ავიატორ ბუბა ბერიშვილს ბექა წივწივაძე ბურთს არ ანებებს

გუშინ საქართველოში საკალათბურთო სეზონი ღუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნა. კარგი ტრადიცია დაამკვიდრა კალათბურთის ფედერაციამ: ზედ ჩემპიონატის წინ დადიანის ხსოვნის ტურნირის მოწყობა, რომელიც [illegible] და მომავალი მწვრთნელის მოსახსენიებლად.

ტრადიცია კი კარგია, მაგრამ თავად ტურნირის სპორტული მხარე [illegible]. ეს არც ფედერაციის ბრალია და არც სხვა ვინმესი, უბრალოდ, ქართული კლუბების [illegible] ვერ მიიღო [illegible] და [illegible].

გუშინდელი შეხვედრებიდან ერთი „დინამო“ — „ავიამშენის“ შეხვედრა იყო, რომელიც [illegible], დანარჩენი თამაშები კი მეტად უინტერესო და ცალმხრივი გამოდგა. თუმც სამი მატჩის შესახებ [illegible], ტურნირის [illegible].

არეულობა „ქუთაისის“ [illegible] განაპირობა. [illegible] ქუთაისში [illegible] გუნდისთვის თბილისში [illegible] ვერ გამონახა და დადიანის ტურნირიც [illegible] [illegible] ჩემპიონატში თამაშიც კითხვის ნიშნის ქვეშ [illegible], რადგან [illegible] კლუბს ქუთაისის მერია აფინანსებს, სადაც [illegible] წევ-გამოწევაა და კალათბურთელებისთვის არავის სცხელა. ამასთან დაკავშირებით ერთ სახუმარო გამონათქვამს გეტყვით, რომელიც „ქუთაისის“ მწვრთნელ ზაურ დოლაბერიძეს ეკუთვნის:

დღეს, მოგეხსენებათ, ქუთაისის მერობას ორი ადამიანი იჩემებს და ამ ქალაქში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობაა. ჰოდა, ქუთაისელთა თავკაცი მერიაში რომ მისულა თბილისში გამოსამგზავრებელი თანხის სათხოვნელად, გაურკვევლობაში ჩავარდნილა. ბატონ ზაურს ხუმრობით უთქვამს, იყოს ორი მერი, ერთი დაკრძალვებისა და სუფრების დღეებში იმერებს, მეორე კი დანარჩენ დროსო.

ახლა მთავარზე: პირველი ორი მატჩი, თავშიც გითხარით, დიდი ვერაფერი საცქერი გამოვიდა, რადგან ერთმანეთს განსხვავებული გუნდები ეთამაშებოდნენ. ხორცპროდუქტების ფირმა „ნიკორას“ სპონსორობით მოფერებულმა თსუ-მ, რომელსაც „ნიკორა“ ჰქვია, ერთი ამოსუნთქვით გაანადგურა სსუ.

სხვათა შორის, სოხუმლებმა გულშემატკივრებს სიურპრიზი შესთავაზეს: სსუ-ს მაისურით ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი დავით თორთლაძე ვიხილეთ.

„თორთლას“ დახმარებით სსუ-მ პირველ მეოთხედში გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია თსუ-ს, მაგრამ მერე „ნიკორამ“ რქებზე რომ მოიგდო მეტოქე, ალარაფერი გასჭირვებია. სახელმწიფო უნივერსიტეტელებს ძალიან სიმპათიური გუნდი ჰყავთ, სადაც გამწევ ძალას ახალგაზრდობა წარმოადგენს, რომელთაც გვერდს რამდენიმე გამოცდილი კალათბურთელი უმაგრებს.

საფრანგეთიდან მობრუნებულმა ბესიკ ლეჟავამ ჩვეული მიზანი გამოავლინა და არაერთი სამქულიანით მეორე მეოთხედში წელში გატეხა სსუ. თბილისელებმა მეორე ათწუთეული 14 ქულით მოუგეს სოხუმელებს და გამარჯვებულის ვინაობაც აქ გაირკვა.

შემდგომ იყო „რუსთავი“ — „მაკაბი“, რომელიც თბილისელთა განადგურებით დასრულდა. ამ მატჩის ერთ საინტერესო შტრიხს გამოვარჩევთ: რუსთაველებს ორ მეტრს აცილებული არც ერთი მოთამაშე არ ჰყავთ, თუმც „ტანმაღალ“ „მაკაბის“ მაინც იოლად მოუთავეს ხელი.

მაკაბელი გიორგი შერმადინი 213 სანტიმეტრია, მამუკა ფიცხელაური და გივი ვაშაკიძე კი 205. სიმაღლეში უპირატესობამ „მაკაბის“ ფარი კი მოაგებინა, მაგრამ მატჩი ვერა. რუსთაველმა დაბლებმა პერიმეტრიდან ისე „დაბომბეს“ მეტოქე, რომ გამარჯვება, ფაქტობრივად, პირველი ტაიმის შემდეგ გაინაღდეს.

აი, „ავიამშენისა“ და „დინამოს“ დაპირისპირებაში გამარჯვებული ბოლო წუთამდე ვერ გამოვლინდა. ეს ერთი შეხედვით მოულოდნელობა გახლდათ, რადგან ავიატორებს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, „დინამოს“ კი... სამაგიეროდ, „დინამო“ უფრო ჭკვიანურად თამაშობდა და ამის ხარჯზე თითქმის მთელი თამაში ლიდერობდა.

დავით უსტიაშვილმა დილმის ბაზაზე ნიჭიერი ბიჭები შემოიკრიბა და მისი გუნდი საკმაოდ სწრაფად და მიზანმიმართულად თამაშობს. „დინამოს“ ყველაზე ხნიერი მოთამაშე, 26 წლის ლადო სუხიშვილი საუკეთესო იყო მოედანზე. ის არ ეპუებოდა ავიატორთა კამერუნელ ცენტრ პლასიდე როდუმტას და ფარქვეშიდან ბევრი ბურთიც ჩააგდო.

ბოლო მეოთხედის წინ „დინამო“ 5 ქულას იგებდა, თუმც თამაშის განახლება და დავით ბერიშვილის ორი სამქულიანით „ავიამშენის“ დაწინაურება ერთი იყო. ყველას ეგონა, ეგაა და, „დინამო“ გატყდაო, მაგრამ უსტიაშვილის ბიჭებმა დიდი შეუპოვრობა გამოავლინეს. სამქულიანებსაც აგდებდნენ და ფარქვეშ ხომ სუხიშვილი სწყალობდათ.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ თამაშის ბოლოსწინა წუთზე „ავიამშენი“ ქულას იგებდა და გოჩა წოწელიას ჯალათურმა სამქულიანმა სულზე მიუსწრო — 78:74.

დინამოელებმა იმავ სუხიშვილის წყალობით იმდენი მოახერხეს, რომ გამთანაბრებელ ტყორცნამდე მიიყვანეს საქმე, მაგრამ ზურაბ ბადრიძე მიზანმა დაალალატა.

**ნიკორა 115:81 სსუ**
29:24 37:23 25:18 24:16
**ნიკორა:** ვეფხვაძე (7), ფანჩულიძე (20), მ. ბერიშვილი (5), მარხვაშვილი (10), ტყეშელაშვილი (14), ლეჟავა (23), ი. მაისურაძე (9), კეშელავა (2), ი. ბერიშვილი (8), სანიკიძე (9), ლომიძე (8), ბერაია
**სსუ:** ლ. ნოზაძე (17), ბენდელიანი (2), თორთლაძე (14), პატარაია (8), კორძაძე (5), გოლეთიანი (7), მოდებაძე (3), ონიკაშვილი (11), ჯიქია (5), გასიტაშვილი (6)
*მსაჯები:* *დავით არეშიძე, მაკა კუპატაძე*
*კომისარი:* *როლანდ გელოვანი*

**რუსთავი 90:60 მაკაბი**
18:13 31:13 18:11 23:23
**რუსთავი:** დანელიანი (12), ქლენტი (10), ლიპარტელიანი (20), ჭოჭუა (3), ჩაჩუა (9), ცეკვავა (11), ფაიქრიძე (10), გოგქსაძე (3)
**მაკაბი:** აბრამიძე, ენუქიძე (5), ნინოშვილი (5), ვაშაკიძე (17), გ. შერმადინი (22), კორკოტაძე (3), ფიცხელაური (8), ს. შერმადინი
*მსაჯი:* *ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი*
*კომისარი:* *როლანდ ხომერიკი*

**ავიამშენი 81:77 დინამო**
20:16 17:25 17:17 27:18
**ავიამშენი:** ბ. ნოზაძე (6), ხოშტარია (10), როდუმტა (13), ჩხატარაშვილი (4), მარკოიშვილი (15), ბ. ბერიშვილი (14), დ. ბერიშვილი (10), ნიკოლაძე (2), ორმოცაძე (2)
**დინამო:** ბადრიძე (20), სუხიშვილი (28), დევიძე (4), გულისაბედაშვილი (3), ვ. მაისურაძე (7), ლაფანაშვილი (14), დერიუგინი (1)
*მსაჯები:* *ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი:* *თენგიზ ქიქოძე*



დავით უსტიაშვილმა დინამოში ახალგაზრდობა შემოიკრიბა



# ჭანტურიას მაკედონიაში აქებენ

**შედარებით** ნორმალური სხვაობით დამარცხდნენ ევროსარბიელზე საქართველოს უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენის“ ხელბურთელები.

ტექნიკოსებმაც, ისევე როგორც სხვა ჩვენმა გუნდებმა, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე უკრაინის „შახტიორ აკადემიასთან“ ორივე მატჩი სტუმრად, დონეცკში ჩაატარეს. მასპინძლებმა, რა თქმა უნდა, ორჯერვე მოგვიგეს — 32:22 და 30:21.

არის სასიამოვნო ამბავიც: ყოფილმა შევარდნელმა, 22 წლის რევაზ ჭანტურიამ, რომელიც მეორე სეზონია, მაკედონიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის — სკოპიეს „მეტალურგის“ ღირსებას იცავს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში. ევროპის თასების მფლობელთა თასზე მეტალურგებმა ბელარუსის „ვიქტორ-რეჯიას“ ორი მარცხი აგემეს — 34:31 და 33:28. „რეპქტორ-ული“ ცაცია რეზო ორივე შეხვედრაში თითქმის თავიდან ბოლომდე იყო მოედანზე და შვიდი გოლიც მიითვალა.

ცნობისთვის — „მეტალურგი“ მაკედონიის ჩემპიონატშიც წარმატებით იბრძვის და სასტარტო ორივე თამაშის მოგებით სატურნირო ცხრილის თავშია. ჭანტურიამ ექვსი ბურთი გაიტანა.

**გია ახალაძე**



# ბილეთი მთავარი პრიზია

**ბუნებრივია,** 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველთაგან ჩვენი ყურადღება თითოეული ქალაქისკენაა მიპყრობილი, რადგან ყველანი ბორჯომ-ბაკურიან-თბილისის კონკურენტები არიან. ამდენად, საინტერესოა, მათი საქმიანობაც.

როგორც ცნობილი გახდა, ხვალ სოჭში გაიმართება პრეს-კონფერენცია, რომელზეც შეაჯამებენ „სოჭი-2014“-ის საგანაცხადო კომიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგებს, რომელიც ითვალისწინებს ლოგოტიპის დამზადებას. პრეს-კონფერენციაზე წარმოადგენენ საკონკურსო მასალებს და გამოაცხადებენ გამარჯვებულის ვინაობას, აგრეთვე მოეწყობა გამარჯვებულის საზეიმო დაჯილდოება, რომელსაც გადაეცემა მთავარი პრიზი — ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბილეთი.

# ბატუტზე ხტომით ოქრომდე ატყორცნილი

საქართველოსთვის ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროს მედლები უცხო არაა. აქ ჩვენს ბატუტზე აღზრდილს ოლიმპიური ოქროსთვისაც გამოუკრავს ხელი და, ეტყობა, სპორტის ამ სახეობაში თაობათა ცვლა რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ ღირსეულად ხდება. ამის ნათელი მაგალითია თბილისელი ლიუბოვ გოლოვნია. მან ახლახანს ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა და პირველობა არავის დაუთმო. იქიდან დაბრუნებულს ძველ წარმატებებზე, ჰოლანდიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ:



— ბატუტის ხტომა სამი წლისამ დავიწყე ჩემს წარმატებებში კი უდიდესი წვლილი მამას, ვოვა გოლოვნიას მიუძღვის, — გვეუბნება ლიუბოვ გოლოვნია. — მამაჩემი ახლაც ჩემი პირადი მწვრთნელია. თუმცა მანამდე ვალენტინა კლიმოვაც მავარჯიშებდა და მასაც ძალიან ვემადლიერები.

**— მსოფლიოს ჩემპიონობა, ცხადია, იოლი საქმე არაა, მაგრამ საინტერესოა, იქამდე როგორი წარმატებებით მიხვედი?**

— საქართველოს ჩემპიონატებში და საერთაშორისო ტურნირებზეც არაერთხელ გამიმარჯვნია. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გერმანიისა და შვეიცარიის ტურნირებში, მოპოვებული ოქროს მედლები. ამას მოჰყვა ევროპისა და მსოფლიოს პირველობების ვერცხლის მედლები...

**— მსოფლიოს ჩემპიონობამდე მართლაც ნაბიჯ-ნაბიჯ მისულხარ. რთული იყო გამარჯვებულის საპატიო კვარცხლბეკზე ასვლა?**

— ჰოლანდიაში ჩატარებულ მსოფლიოს პირველობაზე 47 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. აქედან 67. იმ ასაკობრივ ჯგუფში იყო, რომელშიც მე გამოვდიოდი. ასე რომ, კონკურენცია საკმაოდ დიდი იყო, მითუმეტეს ბატუტზე ხტომა ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია და თითოეული ქვეყანა ცდილობს ხელი შეუწყოს თავის სპორტსმენებს, რათა მათ, როცა ამის დროს დადგება, ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება შეძლონ.

მიუხედავად ასეთი კონკურენციისა, ჩემს უშუალო მეტოქეებს ორი და მეტი ქულის სხვაობით მოვუგე. 36,80 ქულა დავაგროვე და ამ მაჩვენებლით დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზე ათეულში ვხვდებოდი.

ისე, მართალი რომ გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემპიონატზე რაიმე სინჯის მედალს შევწვდებოდი. ამ შეჯიბრებისთვის მართლაც კარგად ვიყავი მოვემზადე. მხოლოდ არაობიექტური მსაჯობის მეშინოდა. თუმცა, იმდენად აშკარად ვაჯობე მეტოქეებს, მსაჯებს ალარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ ჩემი ჩემპიონობა დაეფიქსირებინათ.

**— ოლიმპიური თამაშები ახსენე. ალბათ, შენც სერიოზულად ემზადები ლიცენზიის მოსაპოვებლად?**

— სამწუხაროდ, ლიცენზიის მოსაპოვებლად ჩემი ბრძოლა ნაადრევია. ჯერჯერობით ასაკი ხელს არ მიწყობს. ამას საერთაშორისო წესები კრძალავს. აი, 2017 წელს კი შანსი მომეცემა და დიდი იმედი მაქვს, რომ სასურველ შედეგს მივაღწევ და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვალ.

**— რამდენად კმაყოფილი ხარ პირობებით? სპორტის შესაბამისი სამსახურები თუ გაქცევენ სათანადო ყურადღებას?**

— ამ მხრივ სასაყვედურო ნაკლებად არ მაქვს. მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტსა და ოლიმპიურ კომიტეტს ხელშეწყობისა და სტიპენდიისთვის. ასევე სპორტის საქალაქო სამსახურს, რომელმაც ახლა მსოფლიოს პირველობაზე ჩვენი გამგზავრება დააფინანსა. მგონია, რომ უახლოეს მომავალში ვითარება უკეთესი იქნება.

***

**ლიუბოვ** გოლოვნიასთან საუბრის შემდეგ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ რუსუდან ხოჯერიასაც ვთხოვეთ ჩვენს ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონზე აზრის გამოთქმა.

— თუ გავითვალისწინებთ იმ შედეგს, რომელიც ლიუბოვ გოლოვნიამ აჩვენა, თითქმის დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ [illegible] ოლიმპიურ ლიცენზიის მოპოვებას მის გარდა ლიცენზიისთვის ჩვენ სხვა ბატუტზე მხტომელებიც იბრძოლებენ. ამ მხრივ უდავოდ გამოსაყოფია თამარ კოშკაძეც, რომელიც ძალიან პერსპექტიულია. მისი დიდი იმედიც გვაქვს, გვითხრა რუსუდან ხოჯერიამ.

**ლექსო მაისურაძე**

*ზურაბ ფოლადაშვილის ფოტოები*



ლიუბოვ გოლოვნია თავის პირველ მწვრთნელ ვალენტინა კლიმოვა ძალიან ემადლიერება



ლიუბოვ გოლოვნიას, ეტყობა, თავისი ნახტომები კიდევ ბევრ ოქროს მოუტანს



ლიუბოვ გოლოვნიას ახლა მამამისი — ვლადიმირი ავარჯიშებს



## დასწრება სულ სხვა საქმეა

**ტურინის** ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბილეთების გაყიდვა განახლდა და პირველსავე კვირას ნავაჭრმა 50 მილიონ ევროს გადააჭარბა.

ორგანიზატორთა თქმით, ამ ოლიმპიადაზე განსაკუთრებით დაინტერესებული არიან დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, რუსეთისა და გერმანიის გულშემატკივრები. ამ ქვეყნებიდან ბილეთებზე განაცხადების რაოდენობა მუდმივად იზრდება.

დღეისთვის ყველაზე პოპულარულია ფიგურული ციგურაობა, მაგრამ ნამდვილი ბუმს ელიან, როცა გაყიდვაში გამოჩნდება ჰოკეისტთა მატჩებზე დასასწრები ბილეთები. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს შეხვედრები აშშ — რუსეთსა და ფინეთ — კანადას შორის.

თავად იტალიაში, ორგანიზატორთა თქმით, აჟიოტაჟი უსაშველოდ გაძლიერდება მაშინ, როცა ამ დღეებში დაიწყება მასშტაბური სარეკლამო კამპანია ლოზუნგით: „დასწრება — ეს სულ სხვა საქმეა".

## მეფორმულე და თეთრი ოლიმპიადა

**ფორმულა I-ის** პილოტი, იტალიელი იარნო ტრული მონაწილეობას მიიღებს ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ესტაფეტაში, რომელიც მის მშობლიურ ქალაქ პესკარში გაივლის.

„მე, როგორც პირველი ფორმულის მრბოლი, ვერასოდეს მივიღებ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში. ამიტომაც განსაკუთრებით მიხარია, რომ ამ ღირსახსოვარი მოვლენის მონაწილე ვხდები. მე მხოლოდ 200 მეტრის გარბენა მომიწევს ოლიმპიური ჩირაღდნით, მაგრამ თითოეული წამი უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს" — თქვა ტრულიმ.

## ასათმილიონიანი ინვესტორი

**რუსეთის** ოლიმპიურმა კომიტეტმა და FEDCOM MEDIA დადეს გენერალური ხელშეკრულება პარტნიორობის თაობაზე. ამ შეთანხმების საფუძველზე FEDCOM MEDIA კისრულობს 2006-2014 წლების განმავლობაში რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტში ჩადოს 110 000 000 ამერიკული დოლარი. ამას გარდა, 2008 და 2012 წლების ზაფხულის, აგრეთვე 2010-2014 წლების ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე რუსი სპორტსმენების პრემიებისთვის დამატებით გამოყოფს თანხას. ამის შედეგად ოლიმპიური ჩემპიონები თითოეული ოქროს მედლისთვის მიიღებენ 50 000 დოლარს., ვერცხლის პრიზიორები 30 000, ხოლო ბრინჯაოსი — 20 000 დოლარს. ამას გარდა, ითქვა, რომ მატერიალურად წაახალისებენ გაისად ტურინში გასამართ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულებსა და პრიზიორებს, თუმცა, ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად ეს გათვალისწინებული არ არის.

ამავე კონტრაქტის თანახმად რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი FEDCOM MEDIA-ს უფლებას აძლევს თავად შეარჩიოს ოფიციალური სპონსორები (პარტნიორები). FEDCOM MEDIA კისრულობს „ოლიმპიური თამაშების დღეებში „რუსული სახლის" მოწყობას. და ოლიმპიელთა ტრადიციული ბალის გამართვას.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ტურინის ოლიმპიური თამაშების დასრულებისთანავე და გრძელდება 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის ბოლო დღემდე.



გურამ [illegible] ფოტო

*ახლახან ძალოსანთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა. სეზონის უმთავრესი ტურნირი — მსოფლიოს ჩემპიონატი ერთ თვეში ყატარში ჩატარდება და ვანო გრიქუროვის შეგირდები უკვე უფროსებში შეეცდებიან თავიანთი ძალის წარმოჩენას. ნაკრების თავკაცი სლოვაკური ტურნირის შემდეგ რამდენიმე დღით პოლონეთში ჩავიდა ოჯახის მოსანახულებლად. 2-3 დღეც დავრჩები და მერე ჩემს საქმეს დავუბრუნდებიო, გვითხრა მან, როცა ტელეფონით შევეხმიანეთ, მერე კი ტრენჩინულ შედეგებსა და გუნდის პერსპექტივაზეც გვესაუბრა*

# ვანო გრიქუროვი: საქართველოს ასე ძლიერი ნაკრები არასოდეს ჰყოლია

— საქართველოში დაბრუნებისთანავე პირდაპირ განვაცხადე, რომ აქცენტი ახალგაზრდებზე უნდა გაკეთებულიყო. სამწუხაროდ, უფროსებში ძლიერი სპორტსმენები არ გვყავს და შესაბამისად, გეგმაც უფრო შორეულ პერსპექტივებზე გავთვალეთ. პირველი შედეგები უკვე გამოჩნდა. ტრენჩინში საქართველოს ნაკრების გამოსვლით ყველა გაოცებული დარჩა.

**— თავად თუ გეგმავდით ოქროებს?**

— არსენ კასაბიევის ჩემპიონობას ნამდვილად ველოდი. მან წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაც მოასწრო, სულ კი 3-4 მედალს ველოდით. მათ შორის ზვიად სამუკაშვილისგანაც, თუმც ზვიადის ოქრო მაინც სასიამოვნო სიურპრიზი იყო. მან ყველა წონა დაძლია და საქართველოს რეკორდი 10 კილოგრამით გააუმჯობესა.

აქვე გეტყვით, რომ სამუკაშვილის ოქროს მედალი ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში მეათასე იყო.

**— მთლიანად გუნდის გამოსვლითაც კმაყოფილი დარჩით?**

— გარწმუნებთ, საქართველოს ასეთი ძლიერი გუნდი არასოდეს ჰყოლია. აქამდე თუ გუნდურ პირველობაში ათეულს მიღმა ვრჩებოდით, ტრენჩინში მესამე ადგილზე გავედით. ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების გამოსვლას ხუთიანზე შევაფასებ.

**— უმედლოდ დარჩენილთაგან ვის გამოარჩევთ?**

— პირველ რიგში გია მაჭავარიანს. მან პირადი რეკორდები გააუმჯობესა და მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. რომ არა არაობიექტური მსაჯობა, საპრიზო ადგილსაც თავისუფლად დაიკავებდა. დანარჩენებითაც კმაყოფილი დავრჩი. ერთადერთი, ვისგანაც მეტს ველოდით, რაულ ცირეკიძე იყო. სამწუხაროდ, ატაცის სამივე ცდა გაუცუდდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ ფსიქოლოგიურად ვერ განეწყო. სხვა მხრივ, ნამდვილად მზად იყო, მედლისთვის ებრძოლა.

**— ამ თაობას დიდებში რამდენ ხანში შეეძლება წარმატებულად გამოსვლა?**

— ძალოსნობა ისეთი სახეობაა, ყოველი ხუთი კილოგრამი გარკვეულ დროს მოითხოვს. ეს ბიჭები ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან და დიდი მიზნებისთვის გვარიანი შრომა დასჭირდებათ. ალბათ, საშუალოდ წელიწადნახევარი ან ორი წელი, შედარებით ადრე კი თავის სიტყვას ალბათ კასაბიევი იტყვის.

**— არსენისგან მედალს უკვე წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ელით?**

— მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონი გახდა, არსენმა მაღალი შედეგი მაინც ვერ აჩვენა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ აქცენტი ნოემბრის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავაკეთეთ და იგი სწორედ ამ გეგმით ემზადება. შესაბამისად, პიკზე ჯერ არც ასულა. თუ დარჩენილ ოთხ კვირაში მაქსიმუმის აკრეფა მოასწრო, წარმატებაზე ფიქრიც შეიძლება.

სხვათა შორის, კასაბიევი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის წინა დღეს გახდება თვრამეტი წლის.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე რამდენი ძალოსნის წაყვანას აპირებთ?**

— ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით. ალბათ სამუკაშვილს, მაჭავარიანსა და კასაბიევს წავიყვან. ჩვენს გვერდით იქნება გიორგი ასანიძეც, თუმც ის ფიცარნაგზე არ გავა.

**— საქართველოს ჩემპიონატზე გამოჩნდა, რომ გიორგი ჩვეული ფორმისგან შორსაა. შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიური ოქრო მისი კარიერის ბოლო დიდი ჯილდოა?**

— თუ გახსოვთ, ათენიდან დაბრუნებისთანავე ვთქვით, რომ ერთ-ორ წელიწადს ასანიძე დიდ შედეგებს აღარ შეეჭიდებოდა. სამწუხაროდ, მას ხეირიანი ვარჯიშებისთვის დროც არა აქვს, თუმც თუ მოვინდომებთ, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე და პეკინის ოლიმპიადაზე კვლავ ძველ ასანიძეს ვიხილავთ. გიორგი უდიდესი ნებისყოფის და ჟინის პატრონია და კიდევ შეუძლია ქართველი გულშემატკივრის გახარება. ამჯერად, მსოფლიოს პირველობაზე მხოლოდ იმიტომ მიმყავს, რომ სატურნირო სულისკვეთება გავახსენო. თან, თავისი წონის სპორტსმენებსაც დააკვირდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



გურამ [illegible] ფოტო

არსენ კასაბიევი და ვანო გრიქუროვი



## მსოფლიოს ჩემპიონატი

**27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი. სან-ლუისი, არგენტინა**

# უიმედო ანანდი, მოუგებელი ადამსი

**პლანეტის** მე-13 ჩემპიონის, რუსი გარი კასპაროვის მემკვიდრედ მიჩნეული ინდოელი ვიშვანათან ანანდი ვერ ამართლებს სპეციალისტთა იმედებს. მეათე ტურში ინდუსმა აუტსაიდერ ინგლისელ მაიკლ ადამსს გაუყო ქულა და მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა. მათი შეხვედრა ტურში ყველაზე მოსაწყენი და უინტერესო გამოდგა.

დიდოსტატებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. ორივემ ფრთხილად დაიწყო შეხვედრა, თავიდანვე მწვავე იერიშებს მოერიდნენ და 25-ე სვლაზე მშვიდად დაასრულეს.

ცნობისთვის — ადამსს ჩემპიონატზე თამაში ჯერ არ მოუგია.

სამმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა რუსმა ალექსანდრ მოროზევიჩმა. იგი ჩემპიონატის ლიდერს, ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს დაუპირისპირდა და მხოლოდ ნახევარ ქულას დასჯერდა.

ტოპალოვმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია, ძალები ცენტრში გამოყარა და იერიშებს შეუდგა. მოროზევიჩი ვაჟკაცურად დახვდა თეთრებს, შეტევას შეტევითვე უპასუხა და მცირე უპირატესობაც მოიპოვა. 28-ე სვლაზე რუსის ლაზიერი თეთრ ხელმწიფეს შეუხტა. მდგომარეობის განსამუხტად ტოპალოვმა გაცვლებს მიმართა, მეტოქეს წყობა აურია და მარჯვენა ფლანგიდან პაიკებით მიაწვა. მოროზევიჩმა D ხაზზე პაიკის გაყვანა დაიწყო, ტოპალოვმა კი იერიშები გააძლიერა, F7-ე უჯრაზე თავისი პაიკი შეუშვა და შავ ხელმწიფეს დაემუქრა. მოროზევიჩმა მძიმე ძალები უკან დახია, რის გამოც წყობა აერია, წინ დარჩენილი მსუბუქი ფიგურები უპატრონოდ დარჩა და 41-ე სვლაზე ხარისხი დაკარგა, ამის შემდეგ წესით ტოპალოვს მოგება აღარ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ერთ მომენტში შეცდა, სახიფათო იერიში მიიღო და 61-ე სვლაზე ყაიმზე დაყაბულდა.

**ლაშა გეგეჭკორი**



ტოპალოვმა თამაში 61-ე სვლაზე შეწყვიტა




ალექსანდრ მოროზევიჩმა ვესელინ ტოპალოვს დიდი წინააღმდეგობა გაუწია

**X ტური**

| | | |
|---|---|---|
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 1:0 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 8 ქულა |
| 2 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 6 |
| 3 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 5,5 |
| 4 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 5,5 |
| 5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 4,5 |
| 6 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 4,5 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი | 3,5 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2,5 |

# მემკვიდრე მუდი და ქალთა ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავები


ვესლი მუდი


ნიკოლ ვაიდისოვა

**კვირას გაირკვა ტოკიოში ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე ATP-ის და WTA-ს რანგის ტურნირების გამარჯვებულთა ვინაობა. მართალია, არც ერთ მათგანზე საერთო კლასიფიკაციის ლიდერები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ორივე ტურნირმა მეტად საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა და საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. ამ კუთხით განსაკუთრებით მამაკაცების ტურნირი გამოირჩა, რომელიც აქამდე ფართო აუდიტორიისთვის თითქმის უცნობი სამხრეთაფრიკელის, ვესლი მუდის გამარჯვებით დასრულდა. საერთოდაც, განთესილმა მოთამაშეებმა ორივე ტურნირზე მეტად ცუდად იასპარეზეს.**

**ATP**
**ტოკიო, იაპონია**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 765 000 $**

**ფინალი**

**ვესლი მუდი** (სამხრეთ აფრიკა) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 5) — 1:6 7:6 6:4

**ამ** ტურნირზე არ იყვნენ ATP-ის რეიტინგის პირველი ხუთეულის წარმომადგენლები, მაგრამ ტოკიოში მაინც საკმაოდ საინტერესო შემადგენლობამ მოიყარა თავი. გარდა ამისა, საპრიზო ფონდიც მეტად სოლიდური იყო.

ტოკიოში ძალიან ცუდად იასპარეზეს ტურნირის წინ ფავორიტებად შერაცხულმა მოთამაშეებმა. ასე განსაჯეთ, ნახევარფინალში მხოლოდ ორი განთესილი მოხვდა, ფინალში კი მხოლოდ ერთი და ისიც მეხუთე ნომერი, ხორვატი მარიო ანჩიჩი გავიდა.

განსაკუთრებით არ გაუმართლა პირველ ნომრად განთესილ არგენტინელ მარიანო პუერტას. ტურნირის მიმდინარეობისას გამოცხადდა, რომ სისხლში, რომელიც წლევანდელ საფრანგეთის ღია პირველობის დროს აუღეს პუერტას, დოპინგის კვალი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელს ორი წლის წინათაც იგივე პრობლემები შეექმნა და ამის შემდეგ მან ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, ხელმეორედ გამეორების შემთხვევაში კი სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში არგენტინელმა ველარ მოახერხა თამაშზე მობილიზება და ტურნირს მეოთხედფინალური ეტაპიდან გამოეთიშა.

ფინალი კი მეტად მოულოდნელი გამოდგა. ხორვატი მარიო ანჩიჩის კარგი თამაში არ ყოფილა დიდი მოულოდნელობა. საერთოდაც, როგორც ჩანს, ხორვატიის ნაკრების წევრები მართლაც დიდებულ ფორმაში არიან — ანჩიჩი ფინალში გავიდა, ივან ლიუბიჩიჩმა კი საერთოდ მოიგო მეცის ტურნირი. აქედან გამომდინარე, დევისის თასის ფინალში სლოვაკებს საკმაოდ გაუჭირდებათ ხორვატების წინააღმდეგ ასპარეზობა.

მაგრამ ფინალში სამხრეთაფრიკელი ვესლი მუდის გასვლას არავინ ელოდა. ჩოგბურთელმა, რომელიც ტურნირზე კვალიფიკაციიდან მოხვდა, მართლაც მშვენივრად იასპარეზა და ფინალშიც დამსახურებულად გავიდა.

უშუალოდ ფინალი ხორვატის უდავო უპირატესობით დაიწყო. მან უპრობლემოდ, 24 წუთში მოიგო პირველი სეტი, მაგრამ მუდიმ შეძლო თამაშის დალაგება და მეორე სეტში უკვე თანაბრად ეპაექრა ანჩიჩს, რამაც საბოლოოდ ტაიბრეიკამდე მიგვიყვანა. აქ ხორვატს შეეძლო მოგება, ორჯერ მატჩ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო თავისი შანსის გამოყენება. ამით ისარგებლა სამხრეთაფრიკელმა, მეორე სეტი თავის სასარგებლოდ დაამთავრა და მესამეს უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში შეხვდა. სწორედ ამან იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა მატჩის ბედზე. მუდიმ მოახერხა ერთი ბრეიკის გაკეთება და მესამე სეტის 6:4 მოგებით კარიერის პირველ ტიტული მოიპოვა.

მატჩის შემდეგ სამხრეთაფრიკელმა განაცხადა, ფინალში გამარჯვება გასაოცარი შეგრძნებაა, ანჩიჩმა კი წაგების გადამწყვეტ ფაქტორად მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე დაშვებული შეცდომები დაასახელა, მაგრამ იქვე დაამატა, რომ მაინც კმაყოფილია საკუთარი თამაშით.

ვესლი მუდისთვის კი ეს მართლაც დიდი წარმატებაა. ის პირველი სამხრეთაფრიკელია უეინ ფერეირას შემდეგ, რომელმაც შეძლო ATP-ის ტურნირის მოგება. როგორც ჩანს, ფერეირას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა.

**WTA**
**ტოკიო, იაპონია**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 170 000 $**

**ფინალი**

**ნიკოლ ვაიდისოვა** (ჩეხეთი, 2) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი, 3) — 7:6 3:2 შეწყდა

**ტოკიოს** ტურნირი იმით გამოირჩა, რომ აქ ბევრმა ახალგაზრდა მოთამაშემ მოიყარა თავი. ფინალშიც ერთმანეთს ქალთა ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავები — 16 წლის ჩეხი ნიკოლ ვაიდისოვა და 17 წლის ფრანგი ტატიანა გოლოვინა დაუპირისპირდნენ [illegible] WTA-ს ისტორიაში [illegible] საერთო ასაკის (34 წელი, 2 თვე) [illegible]მცირით ეს მეორე მაჩვენებელი იყო. ყველაზე ახალგაზრდული ფინალი კი 1991 წელს სან დიეგოში გაიმართა, როცა ერთმანეთს 15 წლის ჯენიფერ კაპრიატი და 17 წლის მონიკა სელეში დაუპირისპირდნენ.

ტოკიოს ფინალი მეტად საინტერესოდ დაიწყო. ჩოგბურთელები ბოლომდე იბრძოდნენ, მშვენიერ კომბინაციებს ათამაშებდნენ და ცდილობდნენ, მოწინააღმდეგ[illegible] შანსი არ გაეშვათ. საბოლოოდ პირველი სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც გადამწყვეტი როლი გოლოვინას ძლიერმა მოწოდებამ შეასრულა და ჩეხმა პირველი სეტის მოგება შეძლო.

მეორე სეტის დაწყებისას აღმოჩნდა, რომ გოლოვინა დაზიანებული თამაშობდა. ფრანგმა ქუსლის ტრავმა ამ ტურნირზე მიიღო, მაგრამ მაინც შეძლო ფინალში გასვლა, აქ კი, როგორც ჩანს, ტკივილი აუტანელი გახდა და გოლოვინამ უარი თქვა თამაშის გაგრძელებაზე, როცა ანგარიში 3:2 იყო ჩეხის სასარგებლოდ.

ჩეხი თინეიჯერისთვის ეს ბოლო 10 დღის განმავლობაში ზედიზედ მეორე მოგებული ტურნირია. თამაშის შემდეგ ვაიდისოვამ განაცხადა, რომ ალბათ ის ამ ფინალს ნებისმიერ შემთხვევაში მოიგებდა, მაგრამ ამგვარი გამარჯვების [illegible] ბედნიერია. ჩეხმა იქვე დაამატა, რომ მას კვლავაც ბევრის სწავლა სჭირდება და საკუთარი თამაშის მრავალი კომპონენტი აქვს გამოსასწორებელი.

გოლოვინა კი იმედგაცრუებული იყო, რადგანაც ტრავმამ არ მისცა საშუალება, გამარჯვებისთვის ებრძოლა. თუმცა იქვე დაამატა, რომ ტურნირზე ნაჩვენები თამაშით კმაყოფილია.

**ქახა ლომაშვილი**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

# ვინ თქვა, „დეტროიტი“ ჩამოწერესო


ლოს ანჯელესი — მინესოტა

**დეტროიტი 6:3 კალგარი**
**3:0 2:2 1:1**

1:0 ლიდსტრომი (5), 2:0 შენაჰანი (8), 3:0 სამუელსონი (17), 3:1 ჟორინერი (27), 4:1 ზეტერბერგი (33), 4:2 ჰამრლიკი (35), 5:2 ლანგი (40), 6:2 დაციუკი (49), 6:3 კობასიუ (57)

**აპი** „დეტროიტი“ აღარ არის ანგარიშგასაწევი გუნდიო. მიუხედავად სეზონისწინა პროგნოზებისა, „წითელფრთიანებმა“ ჩემპიონატი ჩინებულად დაიწყეს. მათი მორიგი მსხვერპლი თასის ფინალისტი „კალგარი“ გახდა, რომლის დამარცხებაც მასპინძლებმა ფაქტობრივად მხოლოდ რიცხვმრავლობის ბრიგადების საუცხოო თამაშის ხარჯზე მოახერხეს, მეტოქემ 9-ჯერ დაარღვია წესები და „დეტროიტმა“ აქედან ხუთი (!) გოლად აქცია. განსაკუთრებით ჰენრიკ ზეტერბერგი გამოირჩა, რომელმაც გოლს 3 პასიც დაამატა.

**ლოს ანჯელესი 2:1 მინესოტა**
**0:1 1:0 0:0 1:0**

0:1 უოლცი (7), 1:1 ბელანჟე (23), 2:1 დემიტრა (64)

**ჩიკაგო 2:3 კოლუმბუსი**
**1:1 0:2 1:0**

0:1 ჩიმერა (5), 1:1 ვორობიევი (16), 1:2 ბერარდი (27), 1:3 შელი (29), 2:3 ვორობიევი (46)

**„კოლუმბუსის“** სეზონში პირველი გამარჯვება წლეულს გუნდში მოსულმა ჰოკეისტებმა განაპირობეს. პირველი გოლი ორი დღით ადრე „ფინიქსიდან“ გადმობირებულმა ჯეისონ ჩიმერამ შეაგდო, ხოლო დანარჩენი ორის ორგანიზატორი მცველი ბრაიან ბერარდი გახდა, რომელიც ლოკაუტამდე სწორედ „ჩიკაგოში“ ასპარეზობდა. მასპინძელთათვის კი ერთადერთი სასიამოვნო მომენტი ახალბედა პაველ ვოროშბიევის ზედიზედ მეორე დუბლი გახდა. არადა, რუსი მხოლოდ წინა მატჩის წინ აღმოჩნდა ძირითად შემადგენლობაში ერიკ დაზეს ტრავმის გამო.

# რუსებმა ჰოკეის იციან და ჩხუბიც

## ტვერში 150 შფოთისთავი გულშემატკივარი დაიჭირეს

**დიდი** მუშტი-კრივი იყო ტვერში, რომელშიც 150-მდე კაცი მონაწილეობდა. რუსეთის ჰოკეის სუპერლიგაში გამართული მატჩის შემდეგ, რომელშიც მოსკოვის ცსკა-მ სტუმრად ტვერის შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი დაამარცხა, მასპინძელთა კლუბის პრესსამსახურმა განცხადება გამოაქვეყნა:

„ჩხუბი, რომელიც მატჩის მე-12 წუთზე დაიწყო, მხოლოდ პროვოკაციად შეიძლება ჩაითვალოს. მისი ინიციატორი ასამდე ახალგაზრდა გახლდათ და, ეტყობა წინასწარ იყო დაგეგმილი. „ცსკა მოიგებს“ — ყვიროდნენ ისინი და სამსაჯო ზონისკენ მიიწევდნენ. თან სკამებს და შუშებს ამტვრევდნენ. შემდეგ ისინი სამართალდამცველთა წინააღმდეგობას წააწყდნენ, რის გამოც ხელჩართულ ჩხუბზე გადავიდნენ. ამ დროს ხულიგნებს ტრიბუნებიდან კიდევ 50-მდე ადამიანი მიეშველა. თუმც 10 წუთში მოხერხდა კანონდამრღვევთა სპორტული კომპლექსიდან გაყვანა. ტვერის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა განაცხადა, რომ ყველა შფოთისთავი დაკავებულია, ხოლო ორგანიზატორთა გამოსავლენად საგამომძიებო ჯგუფი მუშაობს.

თავის მხრივ, კლუბმა დროულად მიაწოდა ინფორმაცია ტვერის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს იმის შესახებ, რომ ამ მატჩზე მოსალოდნელი იყო ცსკა-ს აგრესიულად განწყობილი გულშემატკივრების დიდი ჯგუფის ჩამოსვლა, ამიტომაც მოხერხდა ჩხუბის სწრაფად ლოკალიზება.

# მიზიდულობის ამბავი

ცასა სწვდება ავსტრალიელი მეტ შურბრინგი. ეს 360 გრადუსიანი ტრიალია, რაც მოტოფრისტაილში შედის. პერტში ე.წ. მიზიდულობის თამაშები მიმდინარეობს, რომელშიაც შედის სკეიტბორდიც და კაიტბორდიც (წყალზე დაფით ქრიალი). ეს სულ ავსტრალიური შეჯიბრია, თუმცა მასში 14 ქვეყნის მიზიდულები მონაწილეობენ, ემილი კოუპლენდ-დარემი ნომერი მეორე გახლავთ კაიტბორდში.



AFP პერტიდან



AFP პერტიდან

# ევროპული ტაეკვანდო

რიგაში გახურებულა ევროპის ჩემპიონატი ტაეკვანდოში. ეს 72 კილოგრამამდე წონის მებრძოლთა ფინალია. დანიელი იესპერ როესენი (ზურგით) ჰოლანდიელ ტორი მოლეტს უტევს და საბოლოოდ ჩემპიონიც გამოდის.



AFP რიგიდან

# ქალთა ომები



AFP ლაიფციგიდან

ქალთა ფარიკაობა ლაიფციგში: მსოფლიო ჩემპიონობისთვის გერმანელი კაროლის ნეკერმანი (მარცხნივ) და რუმინელი კრისტინა გიტა იბრძვიან. ნეკერმანს მოუგია.

# სუმო ვეგასში

ლას ვეგასში ერთი ტაშისცემით მიმდინარეობს სუმოისტთა შეჯიბრი. 20 წელიწადია ამერიკაში ასეთი რამ არ ყოფილა. დიდი იოკუძუნა ასაშორიუ კი მორიგ მეტოქეს, ჩიოტაიკაის სცემს დაბლა.



AFP ლას ვეგასიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge